ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 18 ოქტომბერი, 2023 №205 (9241) ფასი: 80 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თავდაცვის მინისტრის შვილი რუსეთის მოქალაქესთან ერთად რუსულ აბანოებს აშენებს?!

გვ.3



# „ქართული ოცნება“ პრეზიდენტს ძვრას ვერ უზამს!“



ლევან ალაფიშვილი: „საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადებული დასკვნა სასაცილო და სამარცხვინოა“



გვ.3



გვ.2

## „ჩვენი პრეზიდენტიც „ფეიკია“ და ეს იმპიჩმენტიც“

იაგო ხვიჩია: „არანაირი ვალი არა გვაქვს პრეზიდენტის, რომ მისი ეს თხოვნა შევასრულოთ“



გვ.2

## ირაკლი ღარიბაშვილი: „ამ ქვეყანაში დასრულდა ის დრო, როცა პრეზიდენტს ეგონა, რომ კანონზე და კონსტიტუციაზე მაღლა იდგა“

## მამუკა მდინარაძე: „უკვე ე.წ. პრეზიდენტია“



გვ.2

## პრეზიდენტმა ოთარ ფარცხალაძეს საქართველოს მოქალაქეობა შეუწყვიტა



გვ.3

## რატომ მიაჩნიათ ექსპერტებს სახიფათოდ „მაუწყებელთა შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილებები?



გვ.4

„ცენზურაზე საუბარი არ არის“

*ისტორიები*

## რატომ ეშინოდათ პოლიტიკოსებს ვანგასი?!



გვ.5

*მედიცინა*

სასმელი მინერალური წყლების სამკურნალოდ გამოყენება



12 წლის ანას საქმე — სამხარაულის ბიუროს ექსპერტს ბრალი წარედგინა

გვ.4



1993230720223

4 ვინ იყო 39 წლის მამაკაცი, რომელიც მამამ მოკლა

4 გიორგი კვერენჩხილაძე: „არანაირი გავლენის ქვეშ არ ვყოფილვარ არასოდეს და არც ახლა ვარ“

6 ბრიუსელში ტერაქტი მოხდა

ბელგია-შვედეთის მატჩი ტერაქტის გამო შეწყდა

6 „ჰამასის“ დაზვერვის უფროსი მოკლეს

# „ჩვენი პრეზიდენტიც „ფეიკია“ და ეს იმპიჩმენტიც“

## იაგო ხვიჩია: „არანაირი ვალი არა გვაქვს პრეზიდენტის, რომ მისი ეს თხოვნა შევასრულოთ“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს „გირჩის“ ლიდერი იაგო ხვიჩია პასუხობს.



**„ვისაც „ოცნებისკენ“ უნდა გადახტომა, ის მაინც გადახტება. ერთმანეთს არ ენდობა ოპოზიცია და ეშინიათ, ვინმეს შემთხვევით ხელი არ წაუცდეს და ღილაკს თითი არ დააჭიროს“**

***– ბატონო იაგო, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდში განვითარებულ პროცესებს? რას იტყვით საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე? ბევრისთვის მოსალოდნელი იყო ის შედეგი, რაც დადგა. თქვენ რამდენად ელოდით ამას?***

– ჩემთვისაც მოსალოდნელი იყო ეს შედეგი და არანაირ განსხვავებულ შედეგს მე არ ველოდი. ყველასთვის ცხადი იყო, რომ ეს შედეგი დადგებოდა, ვინც პროცესს თვალს ადევნებდა.

***– ელოდით საკონსტიტუციო სასამართლოსგან, რომ ვერ წავიდოდა „ქართული ოცნების“ წინააღმდეგი?***

– დიახ, რასაკვირველია. ეჭვიც არ შემპარვია, რომ სწორედ ასეთ გადაწყვეტილებას გამოაცხადებდა საკონსტიტუციო სასამართლო.

***– რას იტყვით პრეზიდენტის განცხადებასა და მის პოზიციაზე?***

– პრეზიდენტის პოზიცია და განცხადება ძალიან არასერიოზულია, ჩემი აზრით.

***– რატომ არის არასერიოზული?***

– პრეზიდენტი აქამდე უნდა ჩამოყალიბებულიყო, რა უნდა და როგორ უყურებს პარლამენტში მის მოკავშირეებს და მტრებს. პრეზიდენტმა მთელი ეს პროცესი გაატარა ისე, რომ არც მეგობრები შეუძენია და არც მოკავშირეები. ასეთ დროს გამოხვიდე და პარლამენტის წევრებს მოუწოდო, არ შეხვიდეთ პარლამენტში, მარტო დამტოვეთ და მე ვიცი, იქ რასაც ვილაპარაკებ და ეს კარგი იქნება შესაბამისი სურათის დასანახადო, ეს, უბრალოდ, არასერიოზულია. ამ ყველაფერმა, საბოლოო ჯამში, დამარწმუნა, რომ ეს პროცესი თავის შინაარსით არ არის რეალისტური. ქოცები არანაირად არ აპირებენ ქალბატონი სალომე ზურაბიშვილის გადაყენებას. უფრო მეტიც, მაგაზე უკეთეს მოკავშირეს, ისინი ვერ იპოვიან ამ პროცესში. ამიტომ საუბარი იმაზე, რომ „ქართული ოცნება“ ცდილობს პრეზიდენტს იმპიჩმენტი მოუწყოს, არასერიოზულია.

***– ანუ ეს არის შოუ?***

– რასაკვირველია. ქოცებს რომ პრეზიდენტის გადაყენება უნდოდეთ, ხალხის მეტი რა არის ოპოზიციაში, რომელიც სიამოვნებით დათანხმდებოდა ამას, შესაბამისი გასამრჯელოს ფასად. ამაზე კი არც უფიქრიათ. ეს მიუთითებს შემდეგზე, უბრალოდ, უნდათ ოპოზიციური ხმების მობილიზება პრეზიდენტის გარშემო და ამას ახერხებენ სალომე ზურაბიშვილის ოპოზიციურ ფლანგზე გადაგდებით. შემდეგ კი მისი დახმარებით, ისევ „ქართული ოცნების“ ყულაბაში მოათავსონ ეს ხმები. მე ამ ყველაფერს ასე ვუყურებ.

***– რას ნიშნავდა სალომეს განცხადება, რომ თუ გინდათ ჩემი მხარდაჭერა, დადექით გარეთ?***

– აი მაგიტომ ვამბობ, რომ არაფერს არ ნიშნავდა სინამდვილეში. ქალბატონი სალომეს მხარდაჭერა რატომ უნდა მოუნდეს ვინმეს, როდესაც ქალბატონი სალომე მხარს არ უჭერს და შესაბამის სურვილებს არ ამჟღავნებს, მე არ მესმის, ჩვენგან რატომ ითხოვს მხარდაჭერას?! მთელი ეს პროცესი არის „ფეიკი“. სალომე ზურაბიშვილს „ოცნებისთვის“ არაფერი დაუშავებია. პირიქით, ამდენი ხანია მის საქმეს აკეთებს. სასამართლოს კლანის გაძლიერებაშიც დაეხმარა. ან როგორ შეიძლება ოპოზიციას გაუბედო, რომ არ შემოხვიდეთ თქვენ დარბაზში, მარტო დამტოვეთ, „ასე კარწინკა უკეთესი იქნებაო“. ჩვენი პრეზიდენტიც „ფეიკია“ და ეს იმპიჩმენტიც. აი ამაშია მთელი პრობლემა. ოპოზიციას რაც შეეხება, მე მგონია, რომ ქალბატონი სალომეს მოწოდების გამო არ გადის, ვინც გავა დარბაზიდან.

***– აბა რის გამო გავლენ?***

– თუ გავლენ, გავლენ იმის გამო, რომ პრობლემები აქვთ გუნდის შიგნით, ერთმანეთს არ ენდობიან.

***– ოპოზიციის ერთი ნაწილისგან მოვისმინეთ საწინააღმდეგო პოზიცია, რომ ისინი შეასრულებენ პრეზიდენტის თხოვნას და დადგებიან გარეთ.***

– ეგ ვინ თქვა? მე არ მომისმენია.

***– გახარიას გუნდის წევრებმა.***

– ანუ გახარიას გუნდი არ შემოვა? საინტერესოა, სხვათა შორის... ჩვენ მიგვაჩნია, რომ არანაირი ვალი არა გვაქვს პრეზიდენტის, რომ მისი ეს თხოვნა შევასრულოთ და არც ამ თხოვნის რაციონალურობა გვესმის მაინცდამაინც.

***– გახარიას გუნდს ვალი აქვს პრეზიდენტის?***

– არ გამოვრიცხავ, რომ სამომავლოდ აპირებდნენ ერთად ყოფნას, თანამშრომლობას ან რაღაც ასეთს.

***– სხვათა შორის, უკვე საუბრობენ კულუარულად, რომ გახარიას გუნდის და პრეზიდენტის კოალიცია იგეგმება. ამას გულისხმობდით?***

– ასე პირდაპირ და ღიად, ამაზე ჯერ არ უსაუბრია გახარიას გუნდს, მაგრამ არის ბევრი მინიშნება და ამის დანახვა შესაძლებელია. მოდით დადგეს ეს საკითხი უფრო სერიოზულად დღის წესრიგში და ამის შემდეგ შევაფასოთ.

***– ბევრს ჰქონდა მოლოდინი, პრეზიდენტი გადადგება და ოპოზიციაში წავაო, თუმცა სალომე ზურაბიშვილმა განაცხადა, რომ არც გადავდგები და არც გადმოვდგებიო.***

– ამ პროცესის შინაარსი ჯერ ბოლომდე გასაგები არ არის. ჩემი აზრით, პრეზიდენტს ამ ეტაპამდე არ დაუფიქსირებია ისეთი პოზიციები, რომ ჩვენ მისი ან ოპოზიციონერობა დავიჯეროთ ან ახალი თამაშის წამოწყების სურვილი „ქართული ოცნების“ მიღმა.

***– რა უნდა გაეკეთებინა პრეზიდენტს იმისათვის, ოპოზიციონერობა რომ დაემტკიცებინა?***

– რაიმე ისეთი საქციელი, ნაბიჯი, რომელიც „ქართულ ოცნებას“ არ აწყობდა. პირადი კონფლიქტები აქ არაფერ შუაშია, კობახიძე არ მომწონს და ასე შემდეგ. არც ერთი სერიოზული თემა, სადაც „ქართული ოცნების“ ინტერესების წინააღმდეგ წავიდოდა პრეზიდენტი, მე ასეთს ვერ ვიხსენებ. თუ გინდა გავიხსენოთ ეროვნულ ბანკში ხალხის დანიშვნის შემთხვევა, გავიხსენოთ იუსტიციის საბჭოში წევრების დანიშვნის შემთხვევა, ასევე ჯარის კანონთან დაკავშირებით ვეტოს არ გამოყენება, სადაც საჭირო იყო „ოცნების“ წინააღმდეგ წასვლა, ვერსად ვერ დავინახეთ პრეზიდენტის განსხვავებული პოზიცია. ახლა მათ შიდა კონფლიქტებზე საზოგადოების ყურადღების გადატანა, სერიოზულ საქმედ ვერ ჩაითვლება.

***– საკონსტიტუციო სასამართლოში პროცესის მიმდინარეობისას, ჩვენ ვნახეთ ტელევიზიით პრეზიდენტი, რომელიც, როგორც ითქვა, ბიძინა ივანიშვილთან შესახვედრად მიდიოდა. რას იტყვით ამ ყველაფერზე? რამდენად თამაშობს ქალბატონი პრეზიდენტი ბიძინა ივანიშვილის თამაშს?***

– მე არ მახსენდება ქალბატონი სალომეს მიერ გადადგმული ერთი ნაბიჯიც კი, რომელსაც ბიძინა ივანიშვილის ინტერესების საწინააღმდეგოდ ჩავთვლიდი. პირიქით, ყველაფერს ბიძინას ინტერესებიდან გამომდინარე აკეთებს. ახლა მას დავაბრალოთ, რომ ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ მოქმედებს, უბრალოდ, არასერიოზულია! ამას, მე მგონი, ყველა ხვდება, ვისაც ოდნავი დაკვირვება შეუძლია მოვლენებზე. ამიტომ „ოცნების“ მიერ წამოწყებული იმპიჩმენტის პროცესი, თავიდანვე ნაკლებად დამაჯერებელი იყო. სრული აბსურდია იმაში ეჭვის შეტანა, რომ დღეს ქალბატონი სალომე იბრძვის „ქართული ოცნების“ და ბიძინა ივანიშვილის ინტერესების წინააღმდეგ. ნამდვილად არ მოუცია ამის საფუძველი და ნურც ჩვენ დავაბრალებთ იმას, რაც არ არის.

***– რას აპირებს თქვენი გუნდი? „ქართული ოცნება“ მოუწოდებს ოპოზიციას, კენჭისყრაში თუ არ მიიღებთ მონაწილეობას, პროცესის განხილვაში მაინც ჩაერთეთო. რას აპირებთ თქვენ? რჩებით დარბაზში, გადიხართ? მონაწილეობთ ამ პროცესში თუ არ მონაწილეობთ?***

– რა თქმა უნდა, ვრჩებით დარბაზში. რატომ არ უნდა დავრჩეთ? არავის არ აუხსნია ჩემთვის მიზეზები. დავრჩებით და პროცესს თვალს ვადევნებთ. ჩვენ თუ საშუალება მოგვეცემა, პრეზიდენტსაც დავუსვამთ შეკითხვას და „ქართულ ოცნებასაც“. ზოგადად ვეცდებით, რომ ეს პროცესი ვამხილოთ და ადამიანებს ვაჩვენოთ, სინამდვილეში რა ტიპის კონცერტთან გვაქვს საქმე.

***– კენჭისყრის მომენტში რას აპირებთ?***

– დაკვირვებას ჩვენი კოლეგების. განსაკუთრებულს სხვას არაფერს.

***– ხმას არ მისცემთ, მაგრამ პროცესს დააკვირდებით?***

– არა, ხმა რატომ უნდა მივცეთ?! ჩვენ რომ ვნიშნავდეთ პრეზიდენტს, მაშინ მხარს დავუჭერდით მის იმპიჩმენტს. მე ხომ არ ვნიშნავ პრეზიდენტს? ნიშნავს ისევ „ქართული ოცნება“ და ჩვენ რა შუაში ვართ?! რატომ მივცე „ოცნებას“ საშუალება, ისევ თვითონ დანიშნოს პრეზიდენტი?!

***– ანუ „გირჩი“ იქნება დარბაზში?***

– კი, რასაკვირველია! სხვებსაც მოვუწოდებ, რომ შემოვიდნენ. ვისაც საკუთარ თავსა და ქმედებებზე პასუხისმგებლობის აღება შეუძლია, რატომ არ უნდა შემოვიდნენ?! ვისაც „ოცნებისკენ“ უნდა გადახტომა, ის მაინც გადახტება. ერთმანეთს არ ენდობა ოპოზიცია და ეშინიათ, ვინმეს შემთხვევით ხელი არ წაუცდეს და ღილაკს თითი არ დააჭიროს.

# ირაკლი ღარიბაშვილი: „ამ ქვეყანაში დასრულდა ის დრო, როცა პრეზიდენტს ეგონა, რომ კანონსა და კონსტიტუციაზე მაღლა იდგა“

– ამ ქვეყანაში დასრულდა ის დრო, როცა პრეზიდენტს ეგონა, რომ კანონსა და კონსტიტუციაზე მაღლა იდგა, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა.



როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, სალომე ზურაბიშვილისგან მოქალაქეების ნაწილს ჰქონდა მოლოდინი, რომ ქართულ პოლიტიკაში ევროპულ სტანდარტს შემოიტანდა, რაც გულისხმობს იმას, რომ ყველა იცავს კანონს და კონსტიტუციას.

– რაც შეეხება სასამართლოს გადაწყვეტილებას, მინდა ვთქვა, რომ, რა თქმა უნდა, ეს არის სამწუხარო ფაქტი, ვინაიდან, სამწუხაროდ, დადასტურდა, რომ ქვეყნის, ჩვენი სახელმწიფოს მეთაური, ქალბატონი სალომე დადასტურებულად არის კონსტიტუციის დამრღვევი. ეს, რა თქმა უნდა, მე, როგორც ამ ქვეყნის პრემიერ-მინისტრს და როგორც რიგით მოქალაქეს, ნამდვილად არ მიხარია. მე არ მინდა, რომ ჩემი ქვეყნის პრეზიდენტი იყოს კონსტიტუციის დამრღვევი ან ნებისმიერი კანონის დამრღვევი. რა თქმა უნდა, ეს არის ძალიან სამწუხარო ფაქტი.

იმის მაგივრად, რომ პრეზიდენტს ეჩვენებინა და მაგალითი მიეცა სხვებისთვის, სხვა საჯარო მოხელეებისთვის თუ შემდგომი პრეზიდენტებისთვის, რომ იგი უნდა ყოფილიყო ყოველთვის ქვეყნის, კანონის და მთავარი კანონის, კონსტიტუციის დაცვის სადარაჯოზე, ამის ნაცვლად ქალბატონმა სალომემ უხეშად, დემონსტრაციულად, არაერთგზის დაარღვია კონსტიტუცია, რაც არა მხოლოდ ჩვენი, პოლიტიკოსების ნათქვამით და წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადასტურდა, არამედ საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა და ეს გადაწყვეტილება, რა თქმა უნდა, არ გადაიხედება. რაც შეეხება ზოგადად, შემდგომ პროცედურას, მოგეხსენებათ, რომ პარლამენტში გაიმართება შესაბამისი პროცედურა. ჩვენ თავიდანვე ვთქვით, რომ მოლოდინი იმის შესახებ, რომ საჭირო ხმებს მოაგროვებდა უმრავლესობა, არ გვქონია. არც არავითარი დიდი ილუზიები არავის არ ჰქონდა. თავიდანვე ვთქვით, რომ ვიცოდით, რომ არ გვქონდა საკმარისი ხმები, მაგრამ ჩვენ, ქვეყნის ხელისუფალნი, მთავრობის წევრები, პარლამენტის წევრები, კანონმდებლები, რა თქმა უნდა, ჩვენ უნდა ვიყოთ მაგალითის მიმცემები.

უნდა შევახსენოთ პრეზიდენტს და ყველას, რომ ამ ქვეყანაში დასრულდა ის დრო, როცა პრეზიდენტს ეგონა, რომ იდგა კანონზე მაღლა, კონსტიტუციაზე მაღლა. ეს ძალიან სამწუხაროა. ქალბატონი სალომესგან, ალბათ დამეთანხმებით, რომ ჩვენი მოქალაქეების ნაწილს ჰქონდა მოლოდინი იმის, რომ იგი შემოიტანდა ქართულ პოლიტიკაში ევროპულ სტანდარტს. ევროპული სტანდარტი გულისხმობს იმას, რომ ყველა იცავს კანონს და კონსტიტუციას. ჩვენ სანაცვლოდ ამის სრული საპირისპირო სურათი მივიღეთ, როცა ქალბატონმა სალომემ გვითხრა, რომ ის არ ცნობს კონსტიტუციას. ეს არის სამარცხვინო ფაქტი, მეგობრებო. მე რა თქმა უნდა, კომენტარს არ გავაკეთებ მის გამონათქვამებზე. გვეტყობა ჩვენ, რომ ვნერვიულობთ ან გვეშინია ვინმეს ოპოზიციონერობის?! მე შევახსენებ ყველას, რომ სალომე ზურაბიშვილს ჰქონდა 1%-იანი რეიტინგი, როცა იყო ოპოზიციაში. „ქართულმა ოცნებამ“ მოიყვანა ეს ადამიანი და დასვა პრეზიდენტად „ქართული ოცნების“ რეიტინგის დამსახურებით, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.



# მამუკა მდინარაძე: „უკვე ე.წ. პრეზიდენტია“

„ქართული ოცნების“ აღმასრულებელი მდივანი მამუკა მდინარაძე პრეზიდენტზე:

– სალომე ზურაბიშვილმა მიაყენა მძიმე შეურაცხყოფა საკონსტიტუციო სასამართლოს, ასევე არ დაიშურა შეურაცხმყოფელი სიტყვები საქართველოს პარლამენტის წევრების მიმართ, იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც დღე და ღამეს ასწორებდნენ, განსაკუთრებით მისი წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში, რომ ის საქართველოს პრეზიდენტად არჩეულიყო.

წინასაარჩევნო პერიოდში, რომ არა ამ ადამიანების ჩართულობა, ნული იყო შანსი, იმდენად არ ჰქონდა ამ ადამიანს საკუთარი პიროვნული ავტორიტეტი. ის ადამიანები, რომლებსაც მძიმე შეურაცხყოფას აყენებს, კარდაკარ დადიოდნენ და საარჩევნო კამპანიას აწარმოებდნენ, ის კი არა, მოგვიწია, რომ „ქართული ოცნების“ ლიდერების ბილბორდები ყოფილიყო განთავსებული, მისი ფოტოების ნაცვლად.

არც მორალი, არც რეალობა არ გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ ის კანდიდატის სტატუსისთვის იბრძვის, პირიქით, ის კანდიდატის სტატუსის წინააღმდეგ იბრძვის.

ჩვენს პარტნიორებს უკვე მკაფიოდ ეცოდინებათ, რომ ქალბატონი სალომე, უკვე, საქართველოს ე.წ. პრეზიდენტი, არ წარმოადგენს მის მესიჯებში საქართველოს“


ISSN 1987-9385

ახალი თაობა

გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ახლანიშვილი

საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკვეიშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ-ფოსტა: axtaoba@gmail.com

ტელეფონი: 599-532-690


რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ქართული ოცნება“ პრეზიდენტს ძვრას ვერ უზამს!

## ლევან ალაფიშვილი: „საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადებული დასკვნა სასაცილო და სამარცხვინოა“

ნათია ხურცილავა

**კონსტიტუციონალისტი ლევან ალაფიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ბატონო ლევან, პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცესმა საკონსტიტუციო სასამართლოდან პარლამენტში გადაინაცვლა. „ქართული ოცნება“ პრეზიდენტის იმპიჩმენტს შეძლებს?***

– არა, არა, პრეზიდენტს ვერ გადააყენებენ! „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებს პოლიტიკური გონიერება თუ ექონდათ, ამ საცირკო წარმოდგენას არც წამოიწყებდნენ. ასეთი პოლიტიკური თამაშებით სახელმწიფო ზიანდება. სახელმწიფო ინსტიტუტები ძალიან დაზარალდა. თუ აქამდე საზოგადოება ფიქრობდა, რომ შეიძლება საკონსტიტუციო სასამართლო მეტ-ნაკლებად თავისუფალი იყო, თუ საკონსტიტუციო სასამართლოში კლანი აღარ იყო, ახლა ხომ ასე აღარავინ იფიქრებს, არც ქვეყნის შიგნით და არც ქვეყნის გარეთ.

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადებულ დასკვნაზე შეუძლებელია სამართლებრივად იმსჯელო. ეს იყო სასაცილო და სამარცხვინო დასკვნა. ისეთი დასკვნა, რომლის, ალბათ, ყველა იურისტს შერცხვებოდა. ეს იყო პოლიტიკურად მოტივირებული, კონკრეტული პოლიტიკური ძალისთვის სასურველი დასკვნა.

***– სამი მოსამართლის განსხვავებულ პოზიციაზე რა შეგიძლიათ თქვათ? ეს იყო მოსალოდნელი?***

– მე ველოდი. როდესაც მეკითხებოდნენ, იქნებოდა თუ არა განსხვავებული პოზიცია, ვამბობდი, რომ აუცილებლად იქნებოდა. სამარცხვინო იყო პროცესის მიმდინარეობა თავიდან ბოლომდე, თავისი დადგმული სპექტაკლებით. სამარცხვინო იყო პროცესის დროს კობახიძის დასმული კითხვა და შემდეგ უკვე მის მიერ დაფიქსირებული პოზიცია. სასამართლოს დასკვნაზე თანხმობა. ალბათ უფრო რომ დაუფასდეს, ამიტომ გააკეთა. ცხადია, ეს ყველაფერი სამარცხვინოა და არაფერი საერთო არა აქვს პროფესიულ ღირსებასთან, პროფესიონალიზმთან. ადამიანები იყიდებიან. ყიდიან პროფესიულ ღირსებას.

***– პრეზიდენტის განცხადება – „ქართულ ოცნებას“ რა უფრო ურჩევნია, პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი თუ თავისუფალი პოლიტიკოსი – ფიქრობთ, ღია განაცხადია ახალი პოლიტიკური ცხოვრების?***



– რასაკვირველია! „ქართულ ოცნებას“ ეს სალომე ზურაბიშვილის განცხადებამდეც უნდა სცოდნოდა. ეს აქამდეც უნდა გაეცნობიერებინათ. მათი პრობლემაა თუ ვერ აცნობიერებდნენ, მაგრამ როგორც გითხარით, პრეზიდენტს ძვრას ვერ უზამენ. ერთი წელი კიდევ სალომე ზურაბიშვილი იქნება ამ ქვეყნის პრეზიდენტი. ეს, უნდათ თუ არ უნდათ, ასე იქნება.

როგორც ჩანს, გუნდის შიგნით რეტდასხმულები არიან. შეიძლება ამდენს არ ელოდნენ. საინტერესოა, თუ რა მოცემულობა მივიღეთ: უფრო გააძლიერეს სალომე ზურაბიშვილი, უკვე როგორც პოლიტიკოსი, ქვეყნის შიგნითაც და ქვეყნის გარეთაც. აშკარაა, რომ მას ექნება დასავლეთის მხარდაჭერა და, რაც მთავარია, ქვეყნის შიგნით საზოგადოების მხარდაჭერა.

უკვე დასავლეთმა იცის, რომ ქვეყანაში არსებობს ერთადერთი სახელმწიფო ინსტიტუტი, რომელიც არ ექვემდებარება პოლიტიკურ გავლენას და ის დამოუკიდებელია. „ქართულმა ოცნებამ“ ამას ნამდვილად მიაღწია. შეიძლება ეს ძალიან მოსწონს დასავლეთს, მაგრამ ნამდვილად არ მოეწონება რუსეთს. რუსეთის ჰარმონიაში ეს არ ჯდება. ძალიან ამოვარდნილია.

***– ბატონო ლევან, თქვენ ამბობთ, რომ ვერ გადააყენებენ, მაგრამ თუ ასე მოხდა, როგორ ფიქრობთ, სალომე ზურაბიშვილის ირგვლივ რამდენად მოხდება პროდასავლელი ძალების მობილიზება და ე.წ. მესამე ფრთის ფორმირება?***

– ეს ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი საკითხია. დიახ, მე არა მგონია, რომ ზურაბიშვილი გადააყენონ, მაგრამ თუ ასე მოხდა, ნამდვილად გახდება ის ერთგვარი ლოკომოტივი, არ გამოვრიცხავ, გიორგი მარგველაშვილთან ერთად პროდასავლური კურსისა და პროდასავლური გაერთიანების.

***– 2024 წლის არჩევნებზე შეიძლება მათი ლიდერობით ახალი პოლიტიკური ძალა ვიხილოთ?***

– ეს ყველაფერი პარტიამდე უნდა დავიდეს, რომელმაც არჩევნებში უნდა მიიღოს მონაწილეობა, არა მგონია, დიდად წარმატებული იყოს. მე უფრო დიდ მოძრაობაზე, დიდ სტრატეგიულ ხაზზე ვსაუბრობ, რომელიც ქვეყნის კურსია. ამ შემთხვევაში ასეთ მოძრაობას ძალიან დიდი მხარდაჭერა ექნება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ.

# თავდაცვის მინისტრის შვილი რუსეთის მოქალაქესთან ერთად რუსულ აბანოებს აშენებს?!



სალომე სამადაშვილი თავდაცვის მინისტრს მისი ოჯახის წევრების ბიზნესთან დაკავშირებით შეკითხვით მიმართავს. „ლელოს“ დეპუტატის განცხადებით, ჯუანშერ ბურჭულაძის შვილს რუსეთის მოქალაქესთან ერთად აბანოს ბიზნესი აქვს:

– მაინტერესებს, თქვენ, როგორც ამ ქვეყნის თავდაცვის მინისტრს, ქვეყნის, რომელიც 20% ოკუპირებულია რუსეთის მიერ, არ გრცხვენიათ, რომ თქვენს შვილს აქვს ბიზნესი რუსეთის მოქალაქესთან ერთად და რუსულ აბანოებს აშენებს ჩვენს ქვეყანაში? უკეთესი ბიზნესი ვერ იშოვა თქვენმა შვილმა?

მაინტერესებს, ასევე განგვიმარტოთ, ღარიბაშვილის მამა რომ არის დაჯილდოებული განსაკუთრებული ნიჭით, გავიგეთ, მაგრამ დედათქვენიც ყოფილა განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული, კომერციას ვგულისხმობ, იმიტომ, რომ მოახერხა და კიკეთში მიითვისეთ უზარმაზარი მიწები 95 ლარად კვადრატული მეტრი. მაინტერესებს, რომ გაგვიზიაროთ ეს კომერციული ნიჭი, რომელიც თქვენ ოჯახს აქვს, – მიმართა სამადაშვილმა ბურჭულაძეს.

ბურჭულაძემ სამადაშვილის განცხადებებს ტყუილი უწოდა და თქვა, რომ მის შვილთან დაკავშირებული ინფორმაცია ცილისწამებაა და ამ საქმეზე მას სარჩელიც აქვს შეტანილი:

– რაც შეეხება ჩემს ქონებას, ჩემი შვილი არ არის, ეს იყო ერთი ცილისწამება, ჩემს წინააღმდეგ. მე ამაზე სარჩელიც მაქვს შეტანილი, კონკრეტული ფიზიკური პირისგან ვითხოვ ბოდიშს. თქვენი მეგობრები იმალებოდნენ სარჩელის არმიღებაზე რამდენიმე თვე. ბოლოს მიიღეს სარჩელი. მე ამ პროცესს, რა თქმა უნდა, მოვიგებ. იმიტომ, რომ ეს იყო აბსოლუტურად მოგონილი ტყუილი.

რაც შეეხება დედაჩემს, არ მინდა ამაზე ვისაუბრო. მით უმეტეს, ამ ტრიბუნიდან, მაგრამ ერთი ხელშეკრულების ფარგლებში თქვენი ხელისუფლების დროს ერთი ნასყიდობით აქვს რამდენიმე მილიონი აღებული. და ის, რომ ახლა შპს-ში დედაჩემი იყოს მონაწილე, რამდენიმე შპს-ს დამფუძნებელია და დირექტორი, ეს ხდება ოღონდ 1995 წლიდან. თქვენ გეშლებით მე თქვენს ხელისუფლებაში. კეზერაშვილი, რომელიც მართლა მათხოვარი მოვიდა ხელისუფლებაში და მილიარდერი წავიდა, ასევე კარგად მახსოვს თქვენი ლიდერიც მე, რა ქონებით მოვიდა და წავიდა მისი ოჯახი. და თუ ვინმეს რამე საშუალება ჰქონდა, მათ შორის, 90-იან წლებში ყველაზე დიდი ქონების პრივატიზაცია რუსთაველის გამზირზე მოხდა ჩემი ოჯახის მიერ. ასე რომ, ეს საკითხი, ძალიან გთხოვთ, დახუროთ, – თქვა ბურჭულაძემ.

# გიორგი კვერენჩხილაძე: „არანაირი გავლენის ქვეშ არ ვყოფილვარ არასოდეს და არც ახლა ვარ“



საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე გიორგი კვერენჩხილაძე ამბობს, რომ არასდროს არანაირი გავლენის ქვეშ არ ყოფილა. ის ერთ-ერთია იმ სამ მოსამართლეს შორის, რომლებმაც პრეზიდენტის იმპიჩმენტთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრება დააფიქსირეს.

– არ დავეთანხმეთ ძირითად დასკვნას, სადაც წერია, რომ დაარღვია. (განსხვავებული აზრის საფუძველი) გახდა ის სამართლებრივი შეხედულებები, რაც ჩვენ, ამ შემთხვევაში, გაგვაჩნია ამ საკითხთან დაკავშირებით. მე არანაირი საფრთხე არ მქონდა, არანაირი არც გავლენის ქვეშ არ ვყოფილვარ არასოდეს და არც ახლა ვარ, არანაირ გავლენას არ ვგრძნობ მე არასოდეს. ესაა ჩემი პოზიცია, რასაც მე ხელს ვაწერ და დანარჩენი კიდევ ერთხელ, სრული თავისუფლება აქვთ ადამიანებს ისაუბრონ ის, რაც მათ მიაჩნიათ მათ პოზიციად და გამოხატონ ეს თავისუფლად, – განაცხადა კვერენჩხილაძემ.

შეგახსენებთ, საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა დაადგინა, რომ საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ქვეყნის კონსტიტუცია დაარღვია. სასამართლოს დასკვნაზე სამ მოსამართლეს – ირინა იმერლიშვილის, გიორგი კვერენჩხილაძესა და თეიმურაზ ტუღუშს – განსხვავებული აზრი ჰქონდათ და ის დღეს გამოქვეყნდა.

# პრეზიდენტმა ოთარ ფარცხალაძეს საქართველოს მოქალაქეობა შეუწყვიტა

საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ყოფილ გენერალურ პროკურორს, აშშ-ის მიერ სანქცირებულ ოთარ ფარცხალაძეს საქართველოს მოქალაქეობა შეუწყვიტა.

– საქართველოს პრეზიდენტმა, პარლამენტში იმპიჩმენტის პროცედურის დაწყებამდე, ხელი მოაწერა ოთარ ფარცხალაძისათვის საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის ბრძანებულებას და ვეტო დაადო „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ კანონში შეტანილ ცვლილებებს, როგორც კიდევ ერთ ანტიევროპულ კანონს, – ნათქვამია პრეზიდენტის ადმინისტრაციის განცხადებაში.

შეგახსენებთ, მიმდინარე წლის 14 სექტემბერს ცნობილი გახდა, რომ აშშ-მა საქართველოს ყოფილ გენერალურ პროკურორს ოთარ ფარცხალაძეს სანქციები დაუწესა. აშშ-ის სახაზინო დეპარტამენტის უცხოური აქტივების კონტროლის ოფისის ინფორმაციით, ახალი სასანქციო პაკეტის ფარგლებში სანქციები კიდევ 24 ინდივიდზე გავრცელდა, რომელთა შორისაა ოთარ ფარცხალაძე. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი ოთარ ფარცხალაძეს ქართველ-რუს ოლიგარქად მოიხსენიებს, რომელთანაც რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახური („ეფესბე“) მუშაობდა, რათა რუსეთის სასარგებლოდ ქართულ საზოგადოებასა და პოლიტიკაზე გავლენა მოეხდინა.



20 სექტემბერს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ მიზანშეწონილად მიიჩნია ოთარ ფარცხალაძისთვის საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტა და შესაბამისი დასკვნა საქართველოს პრეზიდენტთან გადააგზავნა.

მოგვიანებით, კერძოდ, 22 სექტემბერს, პრეზიდენტის ადმინისტრაციამ განცხადება გაავრცელა, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ პრეზიდენტს მიზანშეწონილად არ მიაჩნია ოთარ ფარცხალაძისთვის საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტა ამ ეტაპზე და „თუ ფარცხალაძე დასასჯელია, უნდა დაისაჯოს სწორედ, როგორც საქართველოს მოქალაქე“.

# „დღეს ქვეყანაში გვაქვს მშვიდობა. მთავარი ყურადღება უნდა მივმართოთ ჩვენი ქვეყნის აი ამ მშვიდობის შენარჩუნებაზე“

პრემიერის თქმით, მთავარი ყურადღება უნდა იყოს მიმართული ქვეყნის მშვიდობის შენარჩუნებაზე, სტაბილურობის განმტკიცებაზე, ეკონომიკურ განვითარებასა და კეთილდღეობაზე.

– მინდა ვთქვა შემდეგი, რომ დღეს ქვეყანაში გვაქვს მშვიდობა, სტაბილურობა, ხედავთ, რა ხდება ირგვლივ მსოფლიოში, ურთულესი მდგომარეობაა, უკრაინა, ახლა ისრაელი, ისრაელში მიმდინარე მოვლენები არის ძალიან შემაწუხებელი და ძალიან, ასე ვთქვათ, რთული გამოწვევა არა მხოლოდ იმ რეგიონისთვის, არამედ ზოგადად მთელი მსოფლიოსთვის ექნება ამას დიდი გავლენა.

ასე რომ, ჩვენ მთავარი ყურადღება უნდა მივმართოთ ჩვენი ქვეყნის აი ამ მშვიდობის შენარჩუნებაზე, სტაბილურობის განმტკიცებაზე, ეკონომიკურ განვითარებაზე, კეთილდღეობაზე, ეს სჭირდება ჩვენს ხალხს, – განაცხადა პრემიერმა.

ირაკლი ღარიბაშვილმა ასევე უპასუხა კითხვას, იმპიჩმენტის საკითხი იქონიებს თუ არა რაიმე გავლენას კანდიდატის სტატუსზე.

– ყველაფერი კარგად იქნება. არავითარი გავლენა, რას ნიშნავს გავლენა ექნება ამას?! ეს არის ჩვენი ქვეყნის ღირსების საკითხი, ჩვენ ვალდებული ვართ, რომ დავიცვათ ჩვენი კონსტიტუცია და ჩვენი კანონი, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

მთავრობის მეთაურმა ასევე უპასუხა კითხვას, პოზიტიურია თუ არა ეს სიგნალი ბრიუსელისთვის.

– პოზიტიური არის იმ კუთხით და იმ თვალსაზრისით, რომ ჩვენ ვართ მაგალითის მიმცემნი კანონის დაცვის და კონსტიტუციის დაცვის, – განაცხადა პრემიერმა.

ირაკლი ღარიბაშვილმა კანდიდატის სტატუსზე დასმულ კითხვასაც უპასუხა.

– არ მინდა, ახლა იმაზე მეტი ვთქვა, რაც ამ ეტაპისთვის არის მიზანშეწონილი. მე მექნება შეხვედრები ბრიუსელში, აქტიურად ვმუშაობთ კომისიასთან და აქტიურ კომუნიკაციაში ვართ კომისიის შესაბამის სტრუქტურებთან.

ჩვენი ქვეყანა, ჩვენი ხელისუფლების დამსახურებით, ჩვენი ხალხის მობილიზებით და მათი ნების გამოხატულებით, იმსახურებს კანდიდატის სტატუსს.

მე კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რა თქმა უნდა, მიუღებელი იქნებოდა სხვა გადაწყვეტილება, ისე, როგორც შარშან ეს იყო აბსოლუტურად მიუღებელი, გაუმართლებელი და უფრო მეტიც, იყო უხეში შეცდომა დაშვებული ევროპის მხრიდან იმ დროს, მაგრამ მე აღარ მინდა წარსულზე გავაკეთო კომენტარები, უნდა ვიფიქროთ მომავალზე. ბოსნია-ჰერცოგოვინას აქვს სტატუსი, მოლდოვას, უკრაინას, მე ყველას მადლობა მინდა ვუთხრა, ვინც მიანიჭა სტატუსი და ამ ქვეყნებს მინდა წარმატება ვუსურვო, მაგრამ ჩემს ქვეყანაზე და ჩვენს ქვეყანაზე მაქვს მთავარი ფოკუსირება და მთავარი ყურადღება გამახვილებული, აი ამ დამსახურებასა და ამ ყველაფერზე, რაც ჩვენ გავაკეთეთ, – განაცხადა პრემიერმა.

2023, 18 ოქტომბერი, №205

# რატომ მიაჩნიათ ექსპერტებს სახიფათოდ „მაუწყებელთა შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილებები?

## „ცენზურაზე საუბარი არ არის“

მარიამ მჭედლიშვილი

არსებობს აზრი, რომ „მაუწყებელთა შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებები, ისევე, როგორც პრეზიდენტის წინააღმდეგ დაწყებული იმპიჩმენტი, აზიანებს საქართველოს ევროპულ მომავალს და მიზნად ისახავს მედიის შეზღუდვას. მმართველი გუნდის განმარტებები კრიტიკოსებისთვის დამაკმაყოფილებელი არ არის.



„ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე აცხადებს, რომ ეს ცვლილებები „თავიდან ბოლომდე ევროკომისიის დავალებაა“ და ერთ-ერთია 12 რეკომენდაციიდან, რომელიც საქართველომ ევროკავშირის სტატუსის მიღებისთვის უნდა შეასრულოს. მისი თქმით, ევროკომისიას ამ ცვლილებების სამი ვერსია გაეგზავნა და პასუხს ელიან.

ცვლილებები ეხება სიძულვილის ენის გამოყენებისა და ტერორიზმისკენ მოწოდებებს. ეს საკითხი მაუწყებლებში ისედაც რეგულირდებოდა. კანონში ცვლილებები პარლამენტმა ივნისში მიიღო. მოქმედებდა თვითრეგულირების მექანიზმი.

ახლანდელი პროექტით, დაინტერესებულ პირს ეძლევა უფლება, ამასთან დაკავშირებული საკითხი კომისიაში გაასაჩივროს. კომისიას შეუძლია დარღვევის გამო გააფრთხილოს მაუწყებელი. თუ დარღვევა განმეორდა, მაუწყებელი ჯარიმდება წლიური შემოსავლის 0,5%-ს ოდენობით. მომდევნო დარღვევისას ჯარიმა იზრდება.

აღმოჩნდა, რომ ცვლილებების შემუშავებისას უმრავლესობის დეპუტატებს სამუშაო ჯგუფში არ მიუწვევიათ სამოქალაქო სექტორი და მაუწყებლები.

• • •

### „მედიის წინააღმდეგ შეიძლება სადამსჯელო ნაბიჯები გადაიდგას“

„მაუწყებელთა შესახებ“ დაგეგმილ ცვლილებებს სახიფათოდ მიიჩნევს „ლიბერალური აკადემია-თბილისის“ აღმასრულებელი დირექტორი ლაშა ტუღუში.



– ამ საშიში სიტყვების – სიძულვილის ენა და სხვა შეიძლება უფრო სერიოზული რამ იმალებოდეს. ეს შეიძლება იყოს ინტერესი, რომ იმ მედიის წინააღმდეგ, რომელიც შენთვის მისაღები არ არის, გარკვეული სადამსჯელო ნაბიჯები და ღონისძიებები განხორციელდეს. რა სიტუაციაშიც ვართ, რა პოლიტიკურ ვითარებაშიც ვართ, ყველამ ძალიან კარგად ვიცით. ამიტომ, ეს ძალიან სახიფათო პროცესია.

ლაშა ტუღუში უარყოფს, რომ ამ ფორმით ცვლილებების მიღება ევროკავშირის მოთხოვნაა:

– სინამდვილეში, ეს ასე არ არის. ევროკავშირი ამ პრობლემას ხედავს. ევროსაბჭოს ექსპერტი დაიქირავეს, რომელმაც თქვა, რომ სხვა მოდელი გვჭირდება.



„ქართული ოცნების“ წევრების მიერ ინიცირებულ ცვლილების პროექტს ექომაგება „ხალხის ძალის“ წევრი გურამ მაჭარაშვილი.

მაჭარაშვილის მტკიცებით, „საუბარი არ არის ცენზურის განხორციელებაზე“.

ის იმეორებს მმართველი გუნდის მიერ დამკვიდრებულ ნარატივს იმის შესახებ, რომ კრიტიკული არხებიდან ლანძღვა და შეურაცხყოფა ისმის:

– საზოგადოებას უფლება აქვს, ინფორმაცია ისე მიიღოს, რომ იქ არ იყოს ლანძღვა-გინება. არსებული თვითრეგულაცია თუ ვერ მოხდება, მხოლოდ მაშინ შედის ძალაში ეს რეგულაცია. აქ არანაირ ცენზურაზე საუბარი არ არის. სამწუხაროდ, სიძულვილის ენამ ძალიან მოიმატა მედიასივრცეში.

# პრემიერი: „ვეტერანის სტატუსი ერთ-ერთი ყველაზე საპატიო სტატუსია ჩვენს საზოგადოებაში“



– ჩვენს სამხედროებს მივესალმები და მე მინდა ყველას მოგილოცოთ დღევანდელი დღე. ვეტერანის სტატუსი არის ერთ-ერთი ყველაზე საპატიო სტატუსი ჩვენს საზოგადოებაში, ვინაიდან ეს არ არის მხოლოდ სიმბოლური, არამედ ეს არის სტატუსი, რომლის მთავარი ღირსება არის, რომ ვეტერანი სამშობლოს დამცველი, სამშობლოსთვის თავდადებული, თავგანწირული ადამიანია, რომელიც იცავდა და იცავს ჩვენს ქვეყანას. ასე რომ, მე ქედს ვიხრი თითოეული ვეტერანის წინაშე. მე მინდა კიდევ ერთხელ ჩვენი მთავრობის სახელით მადლობა გადავუხადო ჩვენს ვეტერანებს, ყველა ვეტერანს, რომლებმაც გაიღეს სისხლი ჩვენი ქვეყნისთვის, რომლებიც იცავდნენ, ემსახურებოდნენ და ემსახურებიან დღესაც ჩვენს სახელმწიფოს, ჩვენს ქვეყანას. იცით, რომ ჩვენი მთავრობა, ჩვენი ხელისუფლება მაქსიმუმს აკეთებს იმისთვის, რომ დავაფასოთ ჩვენი ვეტერანების ღვაწლი, სამსახური, მათ მიერ გაწეული ურთულესი ღვაწლი, მე ასე ვიტყოდი, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ვეტერანთა დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

როგორც ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, ბოლო 11 წლის განმავლობაში მთავრობამ არაერთი მნიშვნელოვანი სიახლე შესთავაზა ვეტერანებს და მათ ძალიან მნიშვნელოვანი საქმეები გადაუწყვიტა.

პრემიერ-მინისტრის თქმით, მთავრობა აქტიურად მუშაობს, რომ ძალოვანი უწყებების თანამშრომელთა ამჟამინდელი სამსახური იყოს შესაბამისად დაფასებული და მალე გამოაცხადებს შესაბამის გადაწყვეტილებას, რომლის თანახმადაც დარეგულირდება საპენსიო სისტემა ძალოვანი უწყებებისთვის.

– მე კიდევ ერთხელ ქედს ვიხრი ჩვენი გმირების ნათელი ხსოვნის წინაშე. სამსახურის ხელმძღვანელმა სიტყვა გახსნა და წუთიერი დუმილით პატივი მივაგეთ ჩვენს გმირებს, ჩვენს დაღუპულ ვეტერანებს და არა მხოლოდ.

ასევე მინდა ვთქვა, რომ ჩვენ ახლა ვმუშაობთ იმაზე, რომ, ზოგადად, ძალოვანი უწყებების თანამშრომელთა ამჟამინდელი სამსახური იყოს შესაბამისად დაფასებული. თქვენ იცით, რომ სამხედროებისთვის, პოლიციელებისთვის, სხვა სამსახურებისთვის, სპეცსამსახურებისთვის ჩვენ არაერთი მნიშვნელოვანი წამოწყება, ინიციატივა განვახორციელეთ, იქნებოდა ეს ხელფასების ზრდა, 50%-ით გაეზარდათ ხელფასები ჯარისკაცებს და პოლიციელებს, სპეცსამსახურის თანამშრომლებს, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

# დილარ ხაბულიანი უარყოფს, რომ იუსტიციის საბჭოს კანდიდატებს მხარი დაუჭირა



– პირველად გავიგე დღეს ეს გვარი და სახელი... კენჭისყრა რომ დაიწყო, ჟურნალისტებთან ვიყავი გარეთ, – ამის შესახებ უფრაქციო დეპუტატი დილარ ხაბულიანი „მთავარ არხთან“ საუბრობს და გავრცელებულ ინფორმაციას ეხმაურება, რომ ოპოზიციიდან იუსტიციის საბჭოს კანდიდატებს მხარი სწორედ მან დაუჭირა.

პირველად გავიგე დღეს ჟურნალისტებისგან ეს გვარი და სახელი. კენჭისყრის პროცესი როცა დაიწყო, მე მაშინ ვიყავი ჟურნალისტებთან ერთად გარეთ. შეგიძლიათ, გადაამოწმოთ. და როგორ ვიქნებოდი. ჩემს მაგიერ როგორ დაუჭერდა ვინმე მხარს. ...არა, არა, რა სისულელეა... არა, არა, გამორიცხულია, – ამბობს ხაბულიანი.

სამართალი

# ვინ იყო 39 წლის მამაკაცი, რომელიც მამამ მოკლა




გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სობისში მოკლული კაცი 39 წლის კობა აწკარუნაშვილია. მას სასიკვდილო ჭრილობები თავის არეში მამამ მიაყენა.

67 წლის ივანე აწკარუნაშვილი სამართალდამცველებმა ცხელ კვალზე დააკავეს. ის გორის წინასწარი დაკავების იზოლატორშია მოთავსებული და ბრალის ოფიციალურ წარდგენას ელოდება.

შსს-ს ცნობით, განზრახ მკვლელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს.

# 12 წლის ანას საქმე — სამხარაულის ბიუროს ექსპერტს ბრალი წარედგინა

„უფლებები საქართველოს“ ცნობით, 12 წლის ანას დედა, მტკიცებულებების დაზიანებაში ბრალდებული ექსპერტისთვის, აღკვეთის ღონისძიების სახით, პატიმრობის შეფარდებას მოითხოვს.

მათი თქმით, დიდ დიღომში 12 წლის ანას გარდაცვალების საქმეში, საკვანძო მნიშვნელობის მტკიცებულებების დაზიანების ფაქტზე, სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტს,




სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლის პირველი ნაწილით (სამსახურებრივი გულგრილობა), ბრალი წარედგინა.

ორგანიზაციის იურისტები მიიჩნევენ, რომ საქმის კვალიფიკაცია უნდა შეიცვალოს და ბრალი უნდა დამძიმდეს.

– არსებული ინფორმაციით, პროკურატურა ბრალდებულისათვის რაიმე სახის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შუამდგომლობის დაყენებას არ აპირებს. „უფლებები საქართველოს“ ადვოკატები და ბავშვის დედა მიიჩნევენ, რომ აუცილებელია, ბრალდებულ ექსპერტს შეეფარდოს წინასწარი პატიმრობა, რათა თავიდან იქნას აცილებული, მათ შორის, შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობის, მოწმეზე ზემოქმედების ან/და მტკიცებულების განადგურების საფრთხე.

„უფლებები საქართველოს“ ადვოკატები ასევე მიიჩნევენ, რომ საქმეზე გამოძიება უნდა გაგრძელდეს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლით (საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობა), რასაც ორგანიზაცია თავიდანვე ითხოვდა.

შეგახსენებთ, რომ 12 წლის ანის გარდაცვალების საქმეში საკვანძო მტკიცებულებების დაზიანების შესახებ „უფლებები საქართველომ“ საზოგადოებას 2023 წლის 5 ივლისს აცნობა. საუბარია იმ კატეგორიის ნივთმტკიცებებზე, რომელთა გამოკვლევითაც, შესაძლოა, დადგენილიყო გოგონას სხეულზე უცხო ადამიანის დნმ-ის არსებობის ფაქტი ან/და საქმისათვის მნიშვნელოვანი სხვა გარემოება, – ნათქვამია განცხადებაში.

შეგახსენებთ, მოზარდის სხეულიდან აღებული მტკიცებულებები, მათ შორის უცხო თმა და ხელებიდან და სახიდან აღებული ნიმუშები არასწორად ჩატარებული სამუშაოების გამო განადგურდა და ექსპერტიზის ჩატარება ვერ მოხერხდა. ოჯახი ვარაუდობს, რომ მოზარდი მოკლულია. მიმდინარე გამოძიებას, რომელიც განზრახ მკვლელობის მუხლით წარმოებს, ეჭვმიტანილი ამ დრომდე არ ჰყავს.

# პროკურატურამ ტრანსნაციონალური დანაშაული გახსნა და ნიგერიის მოქალაქის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო

საქართველოს პროკურატურამ ტრანსნაციონალური დანაშაული გახსნა და ნორვეგიული კომპანიის კუთვნილი დიდი ოდენობით თანხის მოტყუებით დაუფლების ფაქტზე, ნიგერიის ფედერაციული რესპუბლიკის მოქალაქის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო. ამის შესახებ ინფორმაციას პროკურატურა ავრცელებს.



მათივე ცნობით, გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა და მისმა თანამზრახველებმა დიდი ოდენობით თანხის მოტყუებით დაუფლების მიზნით, ნორვეგიული კომპანიის საბანკო ანგარიშების განკარგვაზე უფლებამოსილი იურიდიული პირის წარმომადგენელს ყალბი ელექტრონული შეტყობინება და დოკუმენტები გაუგზავნეს, რის საფუძველზეც კომპანიის კუთვნილი 37 473 ევრო საქართველოში, ბრალდებულის კონტროლირებად საბანკო ანგარიშზე მოტყუებით ჩაარიცხინეს. დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებმა მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებული თანხა ურთიერთშორის გაინაწილეს.

ნიგერიის ფედერაციული რესპუბლიკის მოქალაქეს ბრალდება, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, დიდი ოდენობით თანხის მოტყუებით დაუფლების ფაქტზე წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 6-დან 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

საქართველოს პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

საქართველოს პროკურატურა აგრძელებს გამოძიებას დანაშაულებრივი ჯგუფის წევრების, ასევე, ანალოგიური საქმიანობით დაკავებული სხვა პირების გამოვლენისა და მხილების მიზნით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რატომ ეშინოდათ პოლიტიკოსებს ვანგასი?!

**ვანგამ თავისი სიცოცხლის ბოლო წელს, გრძნობდა რა სიკვდილის მოახლოებას, ხალხს დაუტოვა წინასწარმეტყველება, რომელშიც ადამიანებს გულწრფელად მოუთხრო 21-ე საუკუნეში კაცობრიობისათვის მოსალოდნელი უბედურების შესახებ.**

ჯერ კიდევ 1996 წელს იწინასწარმეტყველა გლობალური კრიზისის შესახებ, რომელიც თავს დაატყდებოდა პლანეტას და მოგვცა მისი გადაწყვეტის ბრძნული რჩევა.

ვანგა, რომელსაც ადრე არ უყვარდა გადაღება, თვითონ დაუძახა თავის სახლში – რუპიტში – კინოჯგუფს. მას სჭირდებოდა თავისი ბოლო სიტყვების თქმა, რომელიც აუცილებელი იყო, ყველას გაეგო, თუნდაც 20 წლის შემდეგ!

ვანგამ იწინასწარმეტყველა, თუ რა ელოდებოდა კაცობრიობას მომავალში.

რეჟისორი **სტილიან ივანოვი** იგონებს თავის ბოლო შეხვედრას ვანგასთან:

– მე და ვანგა ვართ ერთი კუთხის შვილები, მაკედონელები. ვილებდი მისი სიცოცხლის ბოლო წელს. ვანგასთან ლაპარაკი იყო ძალიან საინტერესო. მას ჰქონდა ჭკუა მეტად ნათელი და საუბარი საოცრად აზრიანი. ვანგას უნდოდა, რომ ეს ფილმი გამხდარიყო მისი სულიერი ანდერძი. ის ირწმუნებოდა, რომ კაცობრიობის ბედნიერებისთვის საჭიროა უბრალოდ ცხოვრების დაწყება ღმერთის გზით. „ხალხი იცხოვრებს განცდებში, სანამ არ შეცვლის თავის თავს უკეთესობისკენ, – ამბობდა ვანგა, – ყველაფერი არის უბრალოდ: არ მოიტყუო და არ მოიპარო, და როცა ყველა ადამიანის ცხოვრება შეიცვლება უკეთესობისაკენ, მსოფლიოც შეიცვლება!"

ვანგამ თბილად მითხრა, რომ ხალხი მასთან სამოცი წლის განმავლობაში დადიოდა დასახმარებლად და ჭკუის დასარიგებლად.

– ყველა მეკითხებოდა მხოლოდ თავის პირადულის შესახებ. არავის არასოდეს არ უკითხავს კაცობრიობის ბედზე. ხალხი იმდენად მერკანტილურია, რომ მათ არ სჭირდება ამის ცოდნა, ადამიანი უნდა იყოს სულით სუფთა როგორც ოქრო, და სხვა ადამიანების მიმართ ტკბილი, როგორც შაქარი, – ასე მითხრა მე ვანგამ. ის იყო კაცობრიობის ისტორიაში ერთადერთი წინასწარმეტყველი, რომელსაც ჯეროვნად შემფასებელი არ ჰყავდა. ვანგა ყველაფერს თვითონ ხსნიდა.

ჩვენ ვილებდით ათი დღე. ერთხელ ვანგამ ჩვენ გვითხრა: „მორჩა, გეყოფათ. თქვენ ყველაფერი გააკეთეთ. მე მხოლოდ ერთს გთხოვთ – ფილმის ბოლოს დააფიქსირეთ ჩემი სახელი".

ვანგასთვის ყველაზე მტკივნეული იყო ადამიანების ურწმუნოება. ის ამბობდა, ყველაზე დიდი უბედურებაა ის, რომ ადამიანები უარყოფენ ღმერთს. ვანგას უგალობდნენ მის მიერ აშენებულ ეკლესიაში, მაგრამ იგი ყოველთვის მეუბნებოდა, რომ ეკლესია ააშენა არა მან, არამედ ხალხმა: „ხალხი მოედინებოდა ჩემთან, როგორც მდინარე და მოჰქონდათ ფული, როგორც ფუტკრებს თაფლი." ვანგა იწვა კუბოში და მეჩვენებოდა, რომ მისი სახე იყო ცოცხალი და ბედნიერი. მისი სული კი უკვე იყო ღმერთის გვერდით...

**ვანგას დისშვილი:**

– პოლიტიკოსებს ეშინოდათ ვანგასი, ის მათ პირში ახლიდა სიმართლეს, – ადასტურებს



კრასიმირა სტოიანოვა, უდიდესი ნათელმხილველის დისშვილი, – ჯერ კიდევ 90-იანი წლების დასაწყისში, ახალ დემოკრატებს, რომლებიც ახალი მოსულები იყვნენ ხელისუფლებაში, ვანგამ უთხრა, რა უნდა გაეკეთებინათ. მან სთხოვა, არ გაეყიდათ სახელმწიფო დაწესებულებები, სასწრაფოდ დაებრუნებინათ მიწა გლეხებისთვის და მესაკუთრეები გაერთიანებულიყვნენ კოოპერატივში, ეზრუნათ მოხუცებისთვის, რათა ღირსეული პენსიები დაენიშნათ მათთვის და არ ეჩხუბათ რუსეთთან. მაგრამ ვანგას ამ რჩევებიდან არცერთი არ ყოფილა გათვალისწინებული და მით უმეტეს, შესრულებული. ვანგა ამბობდა, რომ ის ხედავდა რუსეთის უდიდეს სულიერ პოტენციალს: „ღმერთმა მისცა მათ ძალა!".

კაცობრიობის დასასრულის შესახებ ვანგას არაფერი უთქვამს, მაგრამ მომავალი არ ექნება მას ია-ვარდით მოფენილი. „მე ვხედავ მიშველ, ცარიელ, დამწვარ მიწას, – იბარებდა ვანგა, – და მასზე მიდის ხალხის დიდი რაოდენობა, როგორც ჩრდილი. მომავალი რომ უკეთესობისკენ შევცვალოთ, საჭიროა შეიცვალოს ხალხის ცნობიერება. ეს ეხება მთელ კაცობრიობას. უნდა შევასრულოთ ღმერთის ათი შეგონება".

ვანგას დისშვილი კრასიმირა შეწუხებულია იმით, რომ მისი დეიდის წინასწარმეტყველება ხშირად არასწორადაა გაგებული.

❖ ❖ ❖

დოცენტი **იორდანკა პენევა** შედიოდა იმ ანომალური მოვლენების კომისიაში, რომელიც შეისწავლიდა ვანგას ნიჭს, ის გაოცებული იყო მისი წინასწარმეტყველების ნიჭიერების მასშტაბებით:

– ვანგა იყო გენიალური, მისი შესაძლებლობები იყო უსასრულო. ნებისმიერი მეცნიერი არის სპეციალისტი თავის სფეროში. მან იცოდა ყველაფერი ყველას შესახებ.

დოცენტმა იორდანკა პენევამ შეისწავლა ვანგას ნათელმხილველური ნიჭი. ვანგას აწუხებდა გლობალური პრობლემები. ყველაფერი მსოფლიოში უნდა აღიქვა როგორც ერთიანი მთლიანი, წინააღმდეგ შემთხვევაში კაცობრიობა დაიღუპება. ყველაფერი, რასაც თქვენ გაიგებთ მსოფლიოს ძალის შესახებ, უნდა ამცნოთ ხალხს.

ვანგა ამბობდა: „ყველაფერი რაც იყო, არის და იქნება, აღწერილია უძველეს წიგნებში. ის ნიშნები თვითონ ლაპარაკობენ და ხსნიან, რა უნდა გავაკეთოთ, რომ დედამიწა გადავარჩინოთ. ღმერთი მადლიერი იქნება, თუ თქვენ შეიცნობთ სამყაროს.

მსოფლიოს ყველა მეცნიერში არ ყოფილა იმდენი სიბრძნე, რამდენიც იყო ამ უბრალო ქალში. ის ამბობდა, რომ ყველაფერი, აბსოლუტურად ყველაფერი, ბუნებაში და მსოფლიოში ერთმანეთთან არის დაკავშირებული. ყველაფერს აქვს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი".

## მედიცინა

# სასმელი მინერალური წყლების სამკურნალოდ გამოყენება

**სასმელი მინერალური წყლებით მკურნალობენ კურორტებზე. მაგრამ შესაძლებელია მათი გამოყენება კურორტის გარეშეც — საავადმყოფოს, პოლიკლინიკის, კურორტის, რომელსაც არა აქვს სასმელი წყალი, ანუ ოჯახის პირობებში. ამისათვის იხმარება ბოთლში ჩამოსხმული მინერალური წყალი.**



სასმელი მინერალური წყლებით მკურნალობენ მრავალ დაავადებას, როგორიცაა კუჭის ქრონიკული კატარი, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადება, ღვიძლისა და სანაღვლე გზებით დაავადებები, პანკრეასის ქრონიკული ანთება, ქრონიკული კოლიტი, ნაწლავის ფუნქციური მოშლილობანი, ნივთიერებათა ცვლის დაავადებები, საშარდე გზების და თირკმლის ზოგიერთი დაავადება და სხვ. მინერალური წყლების შინაგანი მიღების სამკურნალო ეფექტი პირველ რიგში დამოკიდებულია მინერალური წყლის სწორად შერჩევაზე.

სასმელად იყენებენ სხვადასხვა ქიმიური შემადგენლობის მინერალურ წყლებს, რომელთა შორის გამოყოფენ რამდენიმე ჯგუფს. ბორჯომის ტიპის ანუ ტუტე წყლები მკურნალობის კარგ შედეგს იძლევა ზემოაღნიშნული თითქმის ყველა დაავადების დროს, განსაკუთრებით, თუ ერთდროულად აღინიშნება კუჭის წვენის მაღალი ან ნორმალური მჟავიანობა. ამ ჯგუფს მიეკუთვნება ბორჯომი, ნაბეღლავი.

საირმის ტიპის წყლები დაბალი მინერალიზაციის ჰიდროკარბონატული კალციუმის შემცველი წყლებია. ეს წყლები საუკეთესოა თირკმლის და საშარდე გზების, თირკმლის კენჭოვანი დაავადებების სამკურნალოდ, თუმცა, არანაკლებ ეფექტურია საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადების დროს. მწარე ანუ სულფიდური წყლები საფაღარათო მოქმედებით ხასიათდებიან. ამ წყლებს ხმარობენ უმთავრესად ქრონიკული ყაბზობის დროს უფრო სიმსუქნესთან თანდართული მოვლენების შემთხვევაში.

სასმელი მინერალური წყლებით მკურნალობის ეფექტურობა დამოკიდებულია აგრეთვე მათი გამოყენების სწორ მეთოდზე. მათი მიღება არ შეიძლება სტანდარტული წესით. იგი ავადმყოფისთვის ინდივიდუალურად უნდა შეირჩეს, ამიტომ სასმელი მინერალური წყლებით მკურნალობა უნდა დანიშნოს ექიმმა.

მაინც როგორია მინერალური წყლების შინაგანი მიღების ზოგადი წესი? ცნობილია, რომ ჭამის წინ 1-1,5 საათით ადრე მიღებული მინერალური წყალი სწრაფად გადადის კუჭიდან ნაწლავებში და შემკავებლად მოქმედებს კუჭის წვენის გამოყოფაზე. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ წყალი მიიღება 10-15 წუთით ადრე ან ჭამის დროს, იგი უფრო ხანგრძლივად რჩება კუჭში, აღიზიანებს კუჭის ჯირკვლოვან აპარატს და იწვევს კუჭის წვენის გაძლიერებულ გამოყოფას. ამიტომ მინერალური წყლის დანიშვნის დროს აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული კუჭის სეკრეციული ფუნქციის მდგომარეობა, კუჭის წვენის მჟავიანობა.

კუჭის წვენის მომატებული მჟავიანობის შემთხვევაში მინერალური წყალი უნდა მივიღოთ 1-1,5 საათით ადრე ჭამის წინ, შემთბარი 35-40 გრადუსამდე. ასეთი წყალი უფრო სწრაფად გადადის ნაწლავებში, ნაკლებად აღიზიანებს კუჭის ლორწოვან გარსს და ამცირებს კუჭის წვენის გამოყოფას. კუჭის წვენის დაბალი მჟავიანობის დროს ავადმყოფს მინერალური წყალი უნდა მიეცეს ჭამის წინ 10-15 წუთით ადრე ან საჭმელთან ერთად. წყალი უმჯობესია იყოს ოთახის ტემპერატურის, გაზიანი. ავადმყოფი მას უნდა სვამდეს ნელა, მცირე ულუფებად.

თუ კუჭის წვენის მჟავიანობა ნორმის ფარგლებშია, მინერალური წყალი ინიშნება 30-40 წუთით ადრე ჭამის წინ, შემთბარი ან ოთახის ტემპერატურის. თუ ავადმყოფი მიდრეკილია ფაღარათობისკენ ან აქვს პერიოდული ტკივილი კუჭის არეში სპაზმების გამო, წყალი უნდა მიეცეს შემთბარი 40-50 გრადუსამდე, ხოლო ყაბზობის შემთხვევაში უმჯობესია გრილი წყლის მიღება.

მინერალური წყალი, როგორც წესი, ავადმყოფს ეძლევა დღეში 3-ჯერ: პირველი საუზმის, სადილის და ვახშმის წინ. მკურნალობის კურსს იწყებენ უფრო მცირე (100-150 მლ) რაოდენობის წყლის მიღებით, შემდეგ თანდათან წყლის რაოდენობას ზრდიან 1-1,5 ჭიქამდე (200-300 მლ) ყოველ მიღებაზე.

ნაღვლის ბუშტის და სანაღვლე გზების დაავადების დროს შეიძლება მიეცეს წყალი უფრო დიდი რაოდენობითაც (2-2,5 ჭიქა). ასეთი რაოდენობის წყალს სვამენ 2 ჯერზე 30-40 წუთის განმავლობაში. უმჯობესია, წყალი იყოს შემთბარი 37-38 გრადუსამდე.

საშარდე გზების დაავადებების დროს მინერალური წყალი შეიძლება მიღებულ იქნას 5-6-ჯერ დღეში 2,5-3 საათის ინტერვალით (150-200 მლ-მდე თითო მიღების დროს). ასეთი მეთოდით მინერალური წყლების მიღება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ავადმყოფს არ აღენიშნება გულსისხლძარღვთა ორგანოების რაიმე დაავადება ან წყლისა და მარილოვანი ცვლის მოშლის ნიშნები.

მწარე წყლებს ე.ი. სულფატურ-ნატრიუმიან და მაგნეზიურ საფაღარათო წყლებს სვამენ 1-1,5 ჭიქა უზმოზე ან ძილის წინ, ამასთან, ამ წყლების საფაღარათო მოქმედება უმტკივნეულო რომ იყოს, უკეთესია მათი მიღება გამთბარი სახით.

გამთბარ მინერალურ წყლებს ხმარობენ კუჭის გამოსარეცხად კუჭის ლორწოვანი გარსის ანთების ან მოწამვლის დროს. ამასთან, კუჭის მინერალური წყლით გამორეცხვის ტექნიკა არ განსხვავდება ჩვეულებრივი გამორეცხვისგან.

მინერალური წყლებით შესაძლებელია თორმეტგოჯა ნაწლავის გამორეცხვა, რაც იწვევს ანთებითი მოვლენების მნიშვნელოვან გაუმჯობესებას დუოდენიტების, ქოლეცისტოპათიების დროს და აძლიერებს ნაღვლის ბუშტიდან ნაღვლის გამოდევნას.

მინერალურ წყალს ხმარობენ აგრეთვე ინჰალაციის სახით. გამთბარი მინერალური წყლის გასაფრქვევად ბინის პირობებში იყენებენ უბრალო აპარატებს (ინჰალატორებს). ამ პროცედურებს უნიშნავენ ავადმყოფებს ცხვირის, ცხვირხახის, ბრონქების, ქრონიკული კატარის, გაჭიანურებული პნევმონიების, ფილტვების ემფიზემის და სხვათა დროს.

სასმელი მინერალური წყლები, განსაკუთრებით დაბალი მინერალიზაციის (ბორჯომი, საირმე, ნაბეღლავი), შეიძლება ვიხმაროთ, როგორც სუფრის წყალი პროფილაქტიკის მიზნითაც, ისინი მადის მომგვრელნი არიან, აუმჯობესებენ საჭმლის მონელებას და, ამავე დროს, ძლიერ გამღიზიანებლად არ მოქმედებენ ორგანიზმზე. მიუხედავად ამისა, მათი სისტემატური მიღება (ყოველდღე – დღეში რამდენჯერმე) რეკომენდებული არ არის. ამისთვის ძირითადად იყენებენ ბოთლში ჩამოსხმულ წყალს. ბოთლში ჩამოსხმული მინერალური წყლები უნდა ინახებოდეს გრილ და უსინათლო ადგილას, ჰორიზონტალურ მდგომარეობაში.

## საზოგადოება

# პაატა გულიაშვილმა 2019 წლიდან დღემდე გამარტივებული შესყიდვებით 77.309 ლარი მიიღო

მსახიობმა პაატა გულიაშვილმა 2019 წლიდან დღემდე გამარტივებული შესყიდვებით 77.309 ლარი მიიღო. ინფორმაცია ფლანგვის დეტექტორმა გაავრცელა:

– აგვისტოში პაატა გულიაშვილმა საქართველოს სამ მუნიციპალიტეტში „სიმღერისა და იუმორის" საღამოები გამართა და ტენდერის გვერდის ავლით ჯამში 16,754 ლარი მიიღო.

ბორჯომის მუნიციპალიტეტში პაატა გულიაშვილის მიწვევა, ჩატარებული კვლევით დაასაბუთეს, თუმცა რა კვლევაზეა საუბარი, თან არ დაურთავთ.

პაატა გულიაშვილი ამჟამად თელავის თეატრის დირექტორია. ის მესამე ვადით 2021 წელს დაინიშნა, რადგან ერთადერთი კანდიდატი იყო.

მხოლოდ 2023 წლის აგვისტოში პაატა გულიაშვილმა საქართველოს სამ მუნიციპალიტეტში გამართული კონცერტებით 16.754 ლარი მიიღო.

3 აგვისტოს ადიგენის მუნიციპალიტეტმა გამარტივებული შესყიდვით, ანუ ტენდერის გვერდის ავლით, „პაატა გულიაშვილის შემოქმედებითი საღამოს" გასამართად მას 4.000 ლარი გადაუხადა. „პაატა გულიაშვილის სიმღერისა და იუმორის საღამო" სოფელ მოხეში, 20:00 საათზე გაიმართა და დასწრება თავისუფალი იყო.

შემდეგი კონცერტი პაატა გულიაშვილმა 5 აგვისტოს, ბორჯომის მუნიციპალიტეტში გამართა. მუნიციპალიტეტმა გულიაშვილს გამარტივებული შესყიდვით 5.100 ლარი გადაუხადა. როგორც შესყიდვის დასაბუთებიდან ირკვევა, გულიაშვილმა მონაწილეობა მიიღო ღონისძიებაში „ტურისტული დღეები ბორჯომში". კითხვაზე, რა მეთოდით დადგინდა, რომ ქვეყნის შიგნით არ არსებობს სხვა ადამიანი, რომელსაც შეუძლია იმავე მომსახურების გაწევა, რაც პაატა გულიაშვილის, ბორჯომის მუნიციპალიტეტი პასუხობს – „კვლევის შედეგად", თუმცა თან არ ურთავს კვლევას.

კიდევ ერთი კონცერტი პაატა გულიაშვილმა ახალციხის მუნიციპალიტეტში გამართა, რომელიც გამარტივებული შესყიდვის დოკუმენტაციის თანახმად, 22 აგვისტოს გაიმართა და მუნიციპალიტეტს 7.654 ლარი დაუჯდა. ბორჯომის და ადიგენის მსგავსად, ახალციხეში „პაატა გულიაშვილის სიმღერისა და იუმორის საღამო" გაიმართა.

პაატა გულიაშვილი ამჟამად თელავის თეატრის დირექტორია. ის თანამდებობაზე კიდევ ერთხელ 2021 წელს დაინიშნა, რადგან არჩევნებში ერთადერთი კანდიდატი იყო. ეს თეატრის დირექტორის პოსტზე გულიაშვილისთვის მესამე ვადაა – თავდაპირველად – 2012 წელს, შემდეგ – 2017 წელს.

გარდა ამისა, პაატა გულიაშვილი აქტიურად იყო ჩართული ლევან ბერძენიშვილის წინააღმდეგ მიმდინარე სამთავრობო პროპაგანდასა და აქტივობებში. 2022 წლის 28 თებერვალს ის ერთ-ერთი გამომსვლელი იყო ბერძენიშვილის საწინააღმდეგოდ თელავში გამართულ აქციაზე, სადაც იმუქრებოდა და ამბობდა, რომ „ენა უნდა



დაიმოკლოს (ლევან ბერძენიშვილი), სანამ მეფეს ახსენებს, ჭკუიანად იყვნენ, სანამ თელაველები კარგად ვლაპარაკობთ. არ გაბედონ და ამ ვიგინდარებმა ასეთი სიტყვები არ წარმოთქვან". აქციაში მონაწილეობის შემდეგ გულიაშვილმა ტელეკომპანია „ფორმულაც" დატოვა.

პაატა გულიაშვილს 2019 წლიდან დღემდე გამარტივებული შესყიდვების საშუალებით 77.309 ლარი აქვს მიღებული. როგორც წესი, მის მომსახურებას მუნიციპალიტეტები გასართობი ღონისძიებების მოსაწყობად ყიდულობენ, – ნათქვამია „ფლანგვის დეტექტორის" მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# უკრაინელების ლოკალური გამარჯვება ავდეევკასთან



რუსეთ-უკრაინის ფრონტზე ცვლილებებია. მტერმა დაიწყო შეტევები როგორც კუპიანსკ-ლიმანის, ისე ავდეევკის მიმართულებით. უკრაინული დაზვერვისათვის ეს მოულოდნელი არ ყოფილა. მათ დროზე მოახდინეს ფრონტის სხვა უბნებიდან დიდი ძალების გადასროლა ავდეევკისაკენ და მტერს მომზადებულნი დახვდნენ.

ავდეევკასთან განთავსებულია სტრატეგიული სიმაღლეები, რომელთა აღებაც ოკუპანტებს სურდათ. ამას გარდა, თავად ავდეევკა დონეცკთან ძალზე ახლოსაა. მისი დაკავებით რუსეთი ფრონტს დონეცკიდან შორს გადასწევდა. ამიტომაც ავდეევკისაკენ დიდი ძალები იქნა გადასროლილი. პუტინმა ჯარის წინაშე მოკლე და კონკრეტული ამოცანა დასახა: 14 ოქტომბრისათვის ავდეევკა უნდა ავიღოთ!

თარიღი შემთხვევით როდი იქნა შერჩეული. 14 ოქტომბერი უპა-ს (უკრაინის აჯანყებულთა არმია) და კაზაკთა მფარველის წმინდა პოკროვას დღეა. პუტინსაც სურდა უკრაინელებისათვის მათი წმინდა დღესასწაული „მიელოცა." ავდეევკისაკენ დიდი ძალები იქნა გადასროლილი. მტერმა გამოიყენა როგორც ტანკები, ისე არტილერიაც.

რუსების შეტევა უკრაინელებმა მოიგერიეს. მათ შესაბამის მანძილზე მიუშვეს რუსული ტანკები, შემდეგ კი ცეცხლი გაუხსნეს. განადგურდა არაერთი ტანკი, შიგ მსხდომი რუსი ოკუპანტები კი ცოცხლად დაიწვნენ. მტერმა გაქცევა იკადრა, თუმცა ბრძოლა ამით არ დამთავრებულა.

უკრაინელებმაც ავდეევკის ჩრდილოეთით კონტრდარტყმა განახორციელეს. რუსებისათვის ეს იმდენად მოულოდნელი იყო, რომ მათ გაქცევით უშველეს თავს. ოკუპანტების რიგებში უდიდესი დანაკარგებია. დაჭრილთა რაოდენობა იმდენად დიდია, რომ დროებით ოკუპირებულ გორლოვკისა და დონეცკის საავადმყოფოები დაჭრილი რუსი ჯარისკაცებით გაივსო. ოკუპანტებს არ ჰყოფნით ექიმები, ამიტომაც დაჭრილთა შორის სიკვდილიანობა დიდია.

# ბელგია-შვედეთის მატჩი ტერაქტის გამო შეწყდა



ევრო 2024 წლის შესარჩევი ეტაპის მატჩი ბელგიისა და შვედეთის ნაკრებებს შორის პირველი ტაიმის შემდეგ შეწყდა. საქმე ის არის, რომ ბრიუსელში ტერაქტი მოხდა. ადგილი, სადაც ტერაქტი მოხდა, სტადიონიდან 5 კილომეტრში მდებარეობს. ტერაქტს შვედეთის ორი მოქალაქე ემსხვერპლა, რომლებიც ბრიუსელში საკუთარი ქვეყნის ნაკრების საქომაგოდ იმყოფებოდნენ.

ამ ფაქტის გამო, შვედმა გულშემატკივრებმა სტადიონი ყველაზე ბოლოს, დილის 4 საათზე დატოვეს. შვედეთის დელეგაციის წარმომადგენლებს და გულშემატკივრებს სტადიონიდან სასტუმროებამდე პოლიცია აცილებდა. პოლიციელებმა აეროპორტამდე მიაცილეს შვედეთის ნაკრების ყველა წარმომადგენელი და თანამშრომელი.

ორივე მხარემ მატჩის დაწყებამდე 10 წუთით ადრე შეიტყვეს, რომ „რაღაც ცუდი მოხდა". თუმცა, ჯერ ბოლომდე ინფორმირებულნი არ იყვნენ და თამაში დაიწყეს, რადგან სტადიონი ბევრად უსაფრთხო ადგილად მიიჩნიეს, ვიდრე ბრიუსელის ქუჩები. შესვენებაზე ინფორმაცია დადასტურდა და ორივე მხარე მატჩის შეწყვეტაზე შეთანხმდა.

შეწყვეტის დროს ანგარიში 1:1 გახლდათ. ბელგიის ნაკრებს ევროპის ჩემპიონატზე თამაში განაღდებული აქვს, შვედეთის ნაკრებს კი, შანსი არ აქვს და, ამის გამო, პერსპექტივა არც ამ მატჩის გაგრძელებას აქვს...

ფიფას პრეზიდენტმა, ჯანი ინფანტინომ, მხარდაჭერა გამოუცხადა ორი მოკლული შვედი გულშემატკივრის ოჯახებს და მეგობრებს.

**ჯანი ინფანტინო:**

– შოკირებული და დამწუხრებული ვარ ორი შვედის ტრაგიკული დაღუპვით ბრიუსელში, სტადიონის მახლობლად, სადაც ბელგიამ შვედეთს უმასპინძლა ევრო 2024-ის საკვალიფიკაციო მატჩში. ფიფას და საფეხბურთო საზოგადოების სახელით ღრმა მწუხარებას გამოვთქვამ დაღუპულთა ოჯახებისა და მეგობრების მიმართ. ჩვენი აზრები ბელგიელ და შვედ ხალხთან, მათ ეროვნულ ნაკრებებსა და ფედერაციებთანაა.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# ბრიუსელში ტერაქტი მოხდა.



უცნობმა პირმა ცეცხლი გაუხსნა შვედეთის ნაკრების გულშემატკივრებს. თავდამსხმელი გაჰკიოდა „ალაჰახ აკბარ" და ისროდა. შედეგად სასიკვდილოდ დაიჭრა ორი შვედი გულშემატკივარი.

ტერორისტმა შეძლო გაქცევა. ამჟამად მიმდინარეობს ოპერაცია მის დასაპატიმრებლად.

# „ჰამასის" დაზვერვის უფროსი მოკლეს

ღაზაში მოკლულია ორგანიზაცია „ჰამასის" დაზვერვის უფროსი ხან იუნისი. მისი ბრძანებით ლიკვიდირებულია უამრავი ადამიანი.

ისრაელში ჰამასის მსხვერპლთა რაოდენობა 1400 აღწევს. თავად ღაზაში ჰამასის ბოევიკებმა რამდენიმე ათასი ადამიანი მოკლეს.

# დანაკარგები ოკუპანტების რიგებში:

ტანკები – 4.979; ბრონირებული საბრძოლო მანქანები – 9.405; არტილერია – 6.936; თვითმფრინავები – 318. განადგურებულია 289.430 ოკუპანტი. მხოლოდ გასული დღის განმავლობაში ლიკვიდირებულა 880 ოკუპანტი

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

## შედეგები

16 ოქტომბერი

ფეხბურთი

**ევრო 2024. შესარჩევი ეტაპი**

| | |
|---|---|
| აზერბაიჯანი-ავსტრია | 0:1 |
| ბელგია-შვედეთი შეწყდა | |
| ბოსნია-პორტუგალია | 0:5 |
| გიბრალტარი-ირლანდია | 0:4 |
| საბერძნეთი-ნიდერლანდები | 0:1 |
| ისლანდია-ლიხტენშტეინი | 4:0 |
| ლუქსემბურგი-სლოვაკეთი | 0:1 |

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| ჩინეთი-უზბეკეთი | 1:2 |
| ბოტსვანა-ესვანტინი | 2:1 |
| მოზამბიკი-ნიგერია | 2:3 |
| ეგვიპტე-ალჟირი | 1:1 |
| სენეგალი-კამერუნი | 1:0 |

**ევრო 2025. შესარჩევი ეტაპი (21)**

| | |
|---|---|
| უკრაინა-ინგლისი | 3:2 |
| ჩრ.ირლანდია-სერბეთი | 1:2 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ლევანტე-ფეროლი | 1:0 |

## კალეიდოსკოპი

# ებრაელი ეროტიკული მოდელი ჯარში ჩაეწერა



ებრაელმა ეროტიკულმა მოდელმა ნატალია ფადეევამ სოციალურ ქსელში თავის ხელმომწერებს აცნობა, რომ ჰამასის წინააღმდეგ საბრძოლველად ისრაელის არმიაში ჩაეწერა.

ის მუდმივად იღებდა ნახევარად შიშველ მდგომარეობაში ფოტოსურათებს ხელში იარაღით. ისრაელზე ჰამასის შეტევის შემდეგ კი მოდელმა გამოაქვეყნა თავისი ახალი ფოტოსურათი, რომელშიც ის ისრაელის არმიის ფორმაშია გამოწყობილი და იქვე განაცხადა, რომ ჯარში სამსახურის დროს მისი სურათები სოციალურ ქსელებში აღარ გამოქვეყნდება.

– სოციალურ ქსელებში აქტიური აღარ ვიქნები. ჩემ სამხედრო ნაწილში ჩავეწერე, რათა ჩემი, როგორც თადარიგის სამხედროს მოვალეობა შევასრულო. არ ვიცი, ეს რამდენხანს გაგრძელდება. ილოცეთ ჩემთვის, – დაწერა მოდელმა.

# მატილდა გვარლიანი „დიზელის" ჩვენებაზე გამოვიდა



მსოფლიოში აღიარებული ბრენდის „დიზელის" ჩვენებაში ქართველმა მოდელმა მატილდა გვარლიანმა მიიღო მონაწილეობა.

დიზელმა ათასობით მომხმარებელს 2024 წლის გაზაფხული-ზაფხულის უახლესი კოლექცია წარუდგინა. ჩვენებაში ქართველ მოდელთან ერთად მსოფლიოში ცნობილი მოდელებიც მონაწილეობდნენ.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# ქალმა ქმრის საყვარელი სახალხოდ გააშიშვლა და სცემა

ჩინელი ქალი სასამართლოს წინაშე მას შემდეგ წარდგა, როდესაც მეგობრებთან ერთად სახალხოდ გააშიშვლა და სცემა მეუღლის საყვარელს.

2022 წელს ქალს, გვარად სიუის მეზობლებმა უთხრეს, რომ შესაძლოა ქმარი მას ღალატობდა. ამის შემდეგ მან მეუღლეს თვალთვალი დაუწყო. ნოემბერში მან შეიტყო, რომ მისმა ქმარმა უცნობ სახლში გარკვეული დრო დაჰყო. ის მიხვდა, რომ მეუღლე იქ მის მეტოქეს მალავდა და დასახმარებლად თავის სამ მეგობარ ქალს უხმო.

ისინი ბინაში შეცვივდნენ, სადაც მათ უცნობი ქალი დახვდათ. ისინი მას თავს დაესხნენ, ძირს დააგდეს, ტანსაცმელი შემოახიეს და სხეულზე წიწაკა დააყარეს. ამის შემდეგ მათ მამაკაცის საყვარელი ქუჩაში გამოათრიეს და ნახევარი საათის განმავლობაში სცემდნენ და დასცინოდნენ ათეულობით ადამიანის თვალწინ. ამავე დროს ამ ყოველივეს ქალები მობილური ტელეფონებით ვიდეოზე იღებდნენ და მაშინვე სოციალურ ქსელებში აქვეყნებდნენ. ინტერნეტში ეს ყოველივე 120 მილიონზე მეტმა ადამიანმა ნახა.

სასამართლომ ამ ანგარიშსწორების წამქეზებელს რვა თვით პატიმრობა მიუსაჯა, ხოლო მის სამ მეგობარს ექვს-ექვსი თვით პატიმრობა.

# ჯულია ფოქსი კამერის წინ შიშველ სხეულზე ასხმული ჯაჭვებით და ჯვრებით გამოჩნდა




ამერიკელმა მოდელმა და მსახიობმა ჯულია ფოქსმა ჟურნალ Rollacoaster Magazine-სთვის ეროტიკული სტილის ფოტოსურათები გადაიღო. ამის ამსახველი კადრები ინსტაგრამში გამოცემის გვერდზე გამოქვეყნდა.

33 წლის მანეკენის გამოქვეყნებულ ფოტოზე ის ფოტოგრაფ ემი ამერიკის წინაშე შიშველ სხეულზე ასხმული ჯაჭვებით, ლითონის მძივებით პოზირებს, რომლებიც მისი სხეულის შიშველ ნაწილებს ფარავენ. ამავე დროს მის გარეგნობას ავსებენ ჯვრის და გულის ფორმის გულსაკიდები.

ამასთან ვიზაჟისტებმა მას თვალებზე გამჭვირვალე მაკიაჟი გაუკეთეს, ტუჩებზე კი მბრწყინავი პომადა წაუსვეს. სტილისტებმა მსახიობს თმები გაულიავეს და „სველი" სტილის ვარცხნილობა გაუკეთეს.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# კარდი ბი კიმ კარდაშიანის საცვლების ბრენდის რეკლამაში გადაიღეს



ამერიკელი რეპ-შემსრულებელი კარდი ბი ბიზნესვუმენ კიმ კარდაშიანის საცვლების მწარმოებელი ბრენდის რეკლამაში გადაიღეს.

31 წლის მომღერალმა მაკორექტირებადი სამოსის რამდენიმე კომპლექტი მოიზომა. მათ შორის ის კამერის წინ სხეულზე შემოტმასნილ კროპ-ტოპსა და ზეთისხილისფერ სტრინგებში პოზირებდა, ასევე რუხი ფერის მაისურსა და შორტებში. გარდა ამისა, კარდი კამერის წინ მუქი მწვანე ფერის ბიუსჰალტერით, საცვალ-შორტებით და ანალოგიური ფერის გრძელი კაბით წარდგა, რომელიც სხეულს გამოკვეთდა.

ამავე დროს მომღერალს დატალღული ღვინისფერი თმები გაშლილი ჰქონდა, ხოლო სახეზე მოყავისფრო მაკიაჟი ეკეთა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## განცხადებები

• ოპერაციის გარეშე!!! საგვარეულო მცენარეული ნაკრების სიროფი: 1. „პლანტა" – ჩიყვი (კვანძოვან-კისტოზური, აუტოიმუნურიც); 2. „პლანტა-გლანდა" – ჩირქოვანი გლანდები, ადენოიდები, ხვრინვა; 3. „პლანტა+" – მასტოპათია (კვანძები), ფიბროადენომატოზული საშვილოსნო, მომატებული პროლაქტინი, უნაყოფობა. მისამართი: თამარ მეფის 25. მწვანე აფთიაქი, ტელ: 577-52-88-41.

• ფიტნეს ყავა!!! გასახდომი ყავა სამმაგი ეფექტით!!! აჩქარებს დაქვეითებულ მეტაბოლიზმს, აწესრიგებს პროლაქტინს! 1 ქილა – 1 თვის სამყოფი, გამდიდრებული ნალექიანი ყავა – 30 ლარი. მისამართი: თამარ მეფის 25. მწვანე აფთიაქი, ტელ: 577-52-88-41.

• მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორ მალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

• ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

• ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების", ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სუპერლიგა ნაკლული ტურით დაიწყო

კალათბურთში საქართველოს 32-ე ეროვნული ჩემპიონატი დაიწყო. სუპერლიგაში წლეულს 11 გუნდი იასპარეზებს, საიდანაც 7 რეგიონისაა, 4 გუნდი კი დედაქალაქს წარმოადგენს. სუპერლიგის თითო ტურში 5 მატჩი გაიმართება, შესაბამისად, 1 გუნდი დაისვენებს ხოლმე.

20 ტურის შემდეგ 8 საუკეთესო ფლეი ოფში გადაინაცვლებს. მე-9 ადგილზე გასული გუნდი სეზონს დაასრულებს, მე-10 გუნდი ადგილს სუპერლიგაში დასარჩენად ქვედალიგელ მეორეადგილოსანთან საკვალიფიკაციო რაუნდში დაიცავს, ხოლო ბოლო, მე-11 ადგილზე გასული გუნდი ა ლიგაში დაქვეითდება.

ერთია, სუპერლიგის პირველი ტურის გასამართი მატჩი თსუ-სა და გორის ივერიონს შორის გადაიდო და, სავარაუდოდ, დეკემბრის ბოლოს ჩატარდება. მიზეზი თსუ-ს ევროთასებზე მონაწილეობაა, რომელიც გერმანიაში, ფიბა ევროპის თასის მატჩის სათამაშოდ გაემგზავრა.

### გაუ-ოლიმპი 108:102 (ოტ)

(28:17; 23:31; 22:24; 18:19; 17:11)

სუპერლიგის პირველ მატჩში თბილისი არენაზე, გაუ-მ ტყიბულის ორბს უმასპინძლა და დაძაბულ ბრძოლაში, ოვერტაიმში გადასულ შეხვედრაში 108:102 იმარჯვა. გაუ გახლავთ კლუბ ოლიმპის ახალი სახელწოდება. გუნდი ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტ გაუ-სთან კოლაბორაციაში შევიდა და მომავალ სეზონში აღნიშნული უნივერსიტეტის სახელით იასპარეზებს.

პირველივე მატჩში სახელცვლილმა გუნდმა დიდი ბრძოლა გადაიტანა. სუპერლიგაში ა ლიგიდან ამოსულმა ორბმა თანაბარი ბრძოლა გაუმართა. მეორე მეოთხედში 12-ქულიანი ჩამორჩენა აღმოფხვრა და ძირითადი დროის დასრულებამდე 3 წუთით ადრე 7 ქულითაც დაწინაურდა, მაგრამ გიორგი ლაშქარაძის გაწვრთნილმა გაუ-მ (მთავარი მწვრთნელი, რევაზ როგავა ამერიკაში, სამწვრთნელო სემინარზე იმყოფება) ბოლო წუთებზე მოახერხა ანგარიშის გათანაბრება და თამაში ოვერტაიმში გადაიზარდა. დამატებით ხუთწუთეულში გაუ-მ გამარჯვების მოპოვება ლეგიონერების ხარჯზე მოახერხა.

გუნდს 31 ქულითა და 10 მოხსნით ენდრიუ ლუისმა ულიდერა; 26 ქულა და 14 მოხსნა მოაგროვა აიზაია სმოლმა; ლუკა ლიკლიკაძემ კი, 18 ქულა, 7 პასი და 6 მოხსნა მიითვალა; ორბში 32 ქულითა და 9 მოხსნით საუკეთესო იყო კენი კუპერი; დონტრელ მაკ-ქუარტერმა 25 ქულა და 12 მოხსნა მოინაგრა.

### რუსთავი-ქუთაისი 103:86

(23:28; 25:18; 30:25; 25:15)

გასულ სეზონის ფინალისტმა რუსთავმა სუპერლიგის მორიგი გათამაშება ღირსეული გამარჯვებით დაიწყო. ყველა მოგებას თავისი ფასი აქვს, მაგრამ როცა მეტოქედ რამდენიმე დღის წინ დუდუ დადიანის მემორიალის გამარჯვებული გუნდი გყავს, რომელიც რეალურად ძლიერი შემადგენლობითა და ამბიციით გეწვია, გამარჯვებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. რუსთავი საკმაოდ კარგი გუნდია და არაერთ საშინაო თამაშსაც მოიგებს, მაგრამ ქუთაისელთა წინააღმდეგ სადებიუტო დაპირისპირებაში გამარჯვება სულ სხვა მუხტისა და ბიძგის მატარებელია.

თავის მხრივ, რუსთავმა დუდუ დადიანის მემორიალზე ორივე მატჩი წააგო – ზესტაფონის მარგვეთთან და გურჯაანის დელტასთან. თუმცა, ანატოლი ბოისას გაწვრთნილ გუნდს შეეტყო, რომ სუპერლიგაში საკმაოდ ამბიციური იქნებოდა. ქვემოქართლელებს რიგიანი 4 ამერიკელი ლეგიონერი ჰყავს, გუნდში არიან რუსთაველები და სამი გამრჯე ახალგაზრდა გასული სეზონის შემადგენლობიდან – ლუკა ბულაშვილი, ანზორ ნადირაძე და ლევან ბაბილოძე. გუნდს დიდი მხარდაჭერა აქვს თანაქალაქელების და დაწყებულ სუპერლიგაში ნებისმიერი მეტოქისთვის კონკურენტუნარიანი იქნება.

ქუთაისი ბოლო პერიოდში გატყდა, მანამდე კი კოტე ტულუშის გაწვრთნილი გუნდი მეტოქეს ტოლს არაფერში უდებდა. პირველ პერიოდში წინ იყო, ხოლო ტაიმის 2 ქულით წაგების შემდეგ, მესამე პერიოდში 5 [illegible] დან ჰენდერსონი და დემარი კინგი სამიანებსაც შედეგიანად აგდებდნენ და სწრაფი შეტევებიც ემარჯვებოდათ, რომელსაც ხშირ შემთხვევაში კარგ გაგრძელებას უძებნიდნენ და რუსთავიც ხეირობდა.

მატჩის დასრულებამდე 3 წუთით ადრე რუსთავის უპირატესობამ 15 ქულას მიაღწია და შეხვედრის ბედიც გაირკვა. კოტე ტულუში არაერთხელ შეეცადა, თამაშის სცენარი სათავისოდ შეეცვალა, მაგრამ რუსთაველთა სტაბილურმა თამაშმა ამის საშუალება არ მისცა. საბოლოოდ რუსთავმა 103:86 გაიმარჯვა და აქტივში პირველი 2 ქულა ჩაიწერა.



ქვემოქართლელთა გუნდში საუკეთესო შედეგი ლუკა ბულაშვილმა და კორდან ჰენდერსონმა გაიზიარეს. პირველმა 16 ქულა, 7 პასი და 4 მოხსნა მიითვალა, მეორემ – 24 ქულა და 2-2 მოხსნა-პასი. 6 სამიანი და 23 ქულა მიითვალა დემარი კინგმა, სეთ მაქსველის ანგარიშზე 13 ქულა და 6 მოხსნა დაგროვდა. ქუთაისელთაგან 23 ქულითა და 20 მოხსნით საუკეთესო იყო მარქუს გილსონი. 16 ქულა და 7 მოხსნა გიორგი კორსანტიამ მოაგროვა, 10-10 ქულა დავით ლომიძემ და მიხეილ ბერიშვილმა გაიფორმეს.

### მარგვეთი-კავკასია 94:73

(26:10; 24:21; 22:26; 22:16)

ზესტაფონის მარგვეთი ტემპს არ აგდებს. ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის გაწვრთნილი გუნდი დუდუ დადიანის ფინალში გასვლისა და ქუთაისთან ბოლო წუთებზე წაგების შემდეგ სუპერლიგაში რიხიანად ჩაერთო. პირველი ტურის მატჩში ზესტაფონელებმა გასული სეზონის ბრინჯაოსმედალოსანი კავკასია უშანსოდ დაამარცხეს. მარგვეთმა დალაგებული, პრაგმატული კალათბურთი ითამაშა, რაშიც კავკასია ვერ აჰყვა, თავიდანვე ჩამორჩა და თამაში ისე დასრულდა, მეტოქეს ვეღარ მიუახლოვდა.

მარგვეთმა 21 ქულის სხვაობით – 94:73 იმარჯვა. პირველი პერიოდის შემდეგ ზესტაფონელები 26:10 იგებდნენ, ხოლო დიდი შესვენებისთვის სხვაობა 19 ქულამდე გაზარდეს. ჩერქეზიშვილის გუნდის წარმატების მიზეზი ძალიან მარტივი იყო. ზესტაფონელთა უკანახაზელები სწრაფად გადადიოდნენ მეტოქის ნახევარზე და შეტევის დასამთავრებლად რამდენიმე საიმედო იარაღი ჰქონდათ – შეტევის სწრაფი გარღვევით დაგვირგვინება, ტანმაღალ მეფარეებისთვის ბურთის სამწამიანში მიწოდება, ან პერიმეტრიდან სროლა. სამივე ამ კომპონენტში მარგვეთი მეტოქეს სჯობნიდა. კოჭებშიც და თამაშზეც ეტყობა, რომ ტაიშონ კროუფორდი სუპერლიგაში ერთ-ერთი საუკეთესო ცენტრია. უზარმაზარი ტანის ახალგაზრდა მეტად მოქნილი და საკალათბურთო ნიჭიერებით დაჯილდოებულია. შესაბამისად, ბურთებსაც უხვად ხსნის, კალათშიც ათავსებს და დაცვაშიც დიდად საიმედოა.

ამას დაუმატოთ ტანმორჩილი, თუმცა უსწრაფესი და, რაც მთავარია, სნაიპერული თვისებებით დაჯილდოებული მაიკლ მეისი, რომელმაც დუდუ დადიანის მემორიალზე 25.8 ქულას, 5.5 მოხსნას და 3.5 პასს ისე ითვლიდა, რომ მატჩში საშუალოდ 3.8 სამიანს აგდებდა. კავკასიას კი მეისმა სამი სამიანი ჩაუგდო, მაგრამ ესეც საკმარისი აღმოჩნდა. თითქმის შეუჩერებელი იყო ლუკა ზაქრაძე, რომელიც კარიერის ზენიტშია და რაც მარგვეთს შეუერთდა, მხოლოდ დადებითის კუთხით თუ შევაფასებთ.

მთლიანობაში, მარგვეთის უპირატესობა აშკარა იყო და ზესტაფონელებმაც დამაჯერებლად, დამსახურებულად გაიმარჯვეს. მარგვეთი საშინაო მატჩებს ზესტაფონში ჯერ ვერ ატარებს. დარბაზის ტექნიკური მხარე ახალ წლამდე უნდა მოწესრიგდეს. სავარაუდოდ, მარგვეთი მეორე წრიდან საშინაო მატჩებს შინ გამართავს.

მატჩის ლიდერებიდან ზაქრაძის მონაგარია გამოსარჩევი – 31 ქულა, 6 პასი, 5 მოხსნა. ტაიშონ კროუფორდმა 23 ქულა და 11 მოხსნა მიითვალა. 20 ქულა მაიკლ მეისის ანგარიშზეა, ხოლო ირაკლი სულხანიშვილმა შეხვედრა 11 ქულითა და 5 პასით დაასრულა. კავკასიაში 21 ქულით საუკეთესო იყო ლუკა მაზიაშვილი. 16 ქულა ილია ლონდარიძემ, ხოლო 15 ლენელ ჰენრიმ მიითვალა.

### დელტა-ბათუმი 76:80

(22:24; 26:22; 22:16; 6:18)

თბილისში დაწყებული სუპერლიგის პირველი ტური გურჯაანში დასრულდა. გურჯაანელებს მეორე წელია, გუნდი სუპერლიგაში ჰყავთ, მაგრამ პირველი საშინაო მატჩი წელს ჩაატარეს. კახეთის ქალაქში ისტორიული დღე იყო: პირველად, გურჯაანმა საკალათბურთო სუპერლიგის პირველ მატჩს უმასპინძლა, რომელსაც ადგილობრივ ქომაგებთან ერთად რეგიონის ხელმძღვანელობა დაესწრო. მატჩმაც გაამართლა: გურჯაანს ნასტუმრებმა ბათუმმა მასპინძლებს დიდი ბრძოლა გაუმართლა და დაძაბულ მატჩში 80:76 იმარჯვა.

გურჯაანში გამართული მატჩის ბედი ბოლო წამებზე გადაწყდა. მანამდე შეხვედრა გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. პირველი პერიოდი სტუმრებმა 2 ქულით მოიგეს, მაგრამ დიდი შესვენებისთვის 2 ქულით უკვე მასპინძელი გალიდერდა. მესამე პერიოდში გურჯაანელებმა თამაშში თითქოს გარდატეხა შეიტანეს, როცა 8 ქულით დაწინაურდნენ. მეოთხე პერიოდის ახალდაწყებულზე მასპინძელთა უპირატესობამ 10 ქულას მიაღწია (72:62), რის შემდეგაც ბათუმელებმა თამაში დაცვაზე გადააწყვეს. დარჩენილ დროში ჰანტერ ბოუდის და ვახტანგ ქადარიას ქულებით სტუმრებმა ანგარიში გაათანაბრეს (73:73), რის შემდეგაც თანაბარი ბრძოლა წავიდა.

ანგარიში თანაბარი იყო თამაშის დასრულებამდე 2 წუთით ადრეც, როცა დაველ რობიმ ზუსტი საჯარიმოთი ბათუმი 77:76 დააწინაურა. გურჯაანელებმა შემდეგ შეტევაში სამქულიანი 2-ჯერ ააცილეს (ტერი კოლინსმა და ჯარვის რეიმ), რის შემდეგაც ბათუმელთა შეტევა მასპინძლებმა ჯარიმით შეაჩერეს. ძირითადი დროის დასრულებამდე 13 წამით ადრე რობიმ ორივე საჯარიმო ჩააგდო და აჭარული გუნდი 79:76 დააწინაურა. გურჯაანელებმა თამაშის გათანაბრება სამქულიანით მოინდომეს, მაგრამ საბა ლობჟანიძის სროლა მიზანს ასცდა, რომელიც ლევან ელიაძემ მოხსნა და დროის მოგების მიზნით მასპინძლებმა ჯარიმა აილეს.

ელიაძემ ერთი საჯარიმო ჩააგდო და ბათუმი მეტოქისთვის მიუწვდომელი გახადა. 2.5 წამში 4 ქულის გაბათილება ფანტასტიკის სფერო გახლდათ და ეს არც მომხდარა. ბათუმელებმა, რომელმაც რამდენიმე დღის წინ სუპერთასი თსუ-სთან წააგეს, სუპერლიგა გასვლითი გამარჯვებით დაიწყეს.

გამარჯვებულთაგან ყველაზე შედეგიანი ვახტანგ ქადარია გახლდათ, რომელმაც 16 ქულა, 7 მოხსნა და 3 პასი მიითვალა. დაველ რობიმ 19 ქულა და 6 პასი მიითვალა. გურჯაანელთაგან 5 მოთამაშე ასცდა 10-ქულიან ზღვარს. ოთარ ფხაკაძე სამმაგ დუბლს მიუახლოვდა: მის ანგარიშზე 13 ქულა, 10 პასი და 7 მოხსნა დაგროვდა. ბექა ბექაურმა 17 ქულა და 8 მოხსნა მოაგროვა.

# სანდრო მამუკელაშვილი: „ემბანიამასთან ერთად თამაშით სიამოვნებას ვიღებ“



საქართველოს ნაკრების ფორვარდი სანდრო მამუკელაშვილი სან ანტონიო სპურსსთან ერთად №□ღ-ს რეგულარული სეზონის დაწყებამდე წინასასეზონო საგამოფენო მატჩებს მართავს. გრეგ პოპოვიჩის გუნდი ჰიუსტონ როკეტსს დაუპირისპირდა და 89:99 დამარცხდა, ქართველმა კალათბურთელმა კი, არასრულ 9 წუთში 3 ქულის დაგროვება მოახერხა. სანდრომ ერთი ორქულიანი ააცილა, ხოლო ორი სამქულიანიდან ერთი ჩააგდო.

სანდრომ ჟურნალისტების კითხვებს უპასუხა, სადაც გუნდის ლიდერ, ვიქტორ ვემბანიამასა და გუნდში ადაპტაციაზე ილაპარაკა.

**სანდრო მამუკელაშვილი:**

– გრეგ პოპოვიჩთან და სპურსთან ერთად ჩემთვის პირველი წინასასეზონო ეტაპია. ეს რთულიც არის და კარგიც. გუნდში ერთმანეთს ბევრს ვეჯიბრებით და მაღალი ინტენსივობაა. მომწონს, როგორც ვმუშაობთ. მილუოკიში ვეტერანი კალათბურთელების გამო განსხვავებული სიტუაცია იყო, აქ კი ახალგაზრდა მოთამაშეები არიან. შედეგად, უკეთეს ფიზიკურ ფორმაში ყოფნა და უფრო მეტი სირბილი გჭირდება. ამ ყველაფრიდან სიამოვნებას ვიღებ და ვცდილობ, რომ ვისწავლო.

ვემბანიამას პირველად რომ შევხვდი, იანისი გამახსენდა. რაც უფრო მეტს ვთამაშობ მასთან ერთად, უფრო ვხვდები, თუ როგორი გამორჩეულია. იანისზე მაღალი და გრძელია. წინასასეზონო ეტაპზე შესანიშნავი იყო, მისი ყურებითა და მასთან ერთად თამაშით სიამოვნებას ვიღებ.

გასულ წელს, როცა მოვედი, ყველაფრის თავიდან დაწყება მომიწია. წელს ვცდილობ, გუნდს მოვერგო და დავეხმარო. შესაბამისად, ეს ეტაპი დიდებული იყო, განსაკუთრებით სამწვრთნელო სტაფთან მუშაობა. ყველაფერს ძალიან კარგად მიხსნიან, თავს კომფორტულად ვგრძნობ და ვცდილობ, მოვუსმინო და ვისწავლო.

შემდეგ საგამოფენო მატჩს გრეგ პოპოვიჩის გუნდი 19 ოქტომბერს, კვლავ ჰიუსტონთან გამართავს. იმედია, ჩვენებურს მეტი დრო მიეცემა.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება**
**ტელ.: 599-532-690 — 12-დან 17 საათამდე**

### კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. რომელიმე პროდუქციის შემოტანის აკრძალვა სახელმწიფოში; 2. რუსი მგოსანი; 3. დიდი ქრისტიანული დღესასწაული; 4. მართლმსაჯულების ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 5. ხორბლის ქართული ჯიში; 8. დიდი წვეულება; 9. ციხე-სიმაგრე ალგეთის ხეობაში; 12. დიდი თევზსაჭერი გემი; 13. ძვირფასი სარეწაო თევზი; 16. მარტვილის ძველი სახელწოდება; 17. კერძო მეწარმე სოფლად; 19. ესპანური ავიაკომპანია; 20. თეატრალური პრემია საქართველოში.

**თარაზულად:** 6. საერთაშორისო კატეგორიის ქართველი რაგბის მსაჯი; 7. უკრაინის მმართველთა ტიტული ძველად; 8. ბოშათა წინამძღოლი; 10. ხატვის ერთ-ერთი ჟანრი; 11. სანადირო თოფების წარმოების ერთ-ერთი ცენტრი გერმანიაში; 14. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი მამაკაცი; 15. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური გერმანიაში; 18. უძველესი აკადემია კახეთში; 21. მაღალმთიანი კურორტი გურიაში; 22. შემთხვევით ჩავარდნილი შარი ბილიარდში; 23. ბუნებრივი ნაკრძალი ქვემო ქართლში; 24. ცნობილი ქართველი მელვინე.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. პობედა; 2. წულა; 3. შემოქმედი; 4. დგუში; 5. მამფალი; 8. რეჟიმი; 9. კონტრაქტი; 12. ბუზუკი; 14. ოაზისი; 16. იტილი.

**თარაზულად:** 1. პეტრიწონი; 6. ლეთარგია; 7. ბაირაღი; 9. კესონი; 10. თითა; 11. ტიციანი; 13. აზოტი; 15. მუჟირი; 17. ყირმიზი; 18. სურამი; 19. ფაუსტი; 20. ლიქიორი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. დიუნანი; 2. ენოთეკა; 3. ჰოლდინგი; 4. ვლტავა; 5. ზანდური; 8. ყანჩელი; 9. კაკანათი; 12. კასტილია; 13. არქტიკა; 16. მოგადიშო; 17. პასტელი; 19. დნეპრი; 20. ხერესი.

**თარაზულად:** 6. პირანდელო; 7. კლიმატი; 8. ყადაღა; 10. მანდელა; 11. ხულა; 14. ქარვასლა; 15. ესტანსია; 18. პოლისი; 21. ნეკრესი; 22. ცენტი; 23. იუმორი; 24. ნოვარტისი.

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

18 ოქტომბერი


ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.6925

ევრო — 2.8403

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.2725

100 რუსული რუბლი — 2.7659

## ამინდის პროგნოზი 18 ოქტომბრისათვის




## ვიქტორ ოსიმენმა ტრავმა მიიღო



ნაპოლის ერთ-ერთმა ლიდერმა ვიქტორ ოსიმენმა ტრავმა მიიღო და პირველი ინფორმაციის თანახმად, ის დაახლოებით ერთ თვეს გამოტოვებს და მოედანზე 25 ნოემბერს დაბრუნდება.

ოსიმენის ტრავმა ნაპოლისთვის სერიოზული დანაკარგია, რადგან ოსიმენი გუნდის ლიდერი და მთავარი ბომბარდირია. კვარაცხელიას და ოსიმენის დუეტი ევროპაში ერთ-ერთ საუკეთესო შემტევ დუეტად ითვლება.

## ნეიმარი: „ბრაზილიელი გულშემატკივარი სათანადო პატივს არ მცემს“



ბრაზილიის ნაკრების კაპიტანმა ნეიმარმა საკუთარი გულშემატკივრის მიმართ უკმაყოფილება გამოხატა, რადგან ვენესუელასთან მატჩის შემდეგ ნეიმარს გულშემატკივარმა პოპკორნი ესროლა და ბრაზილიელი ამის გამო ძალიან გაღიზიანდა. გულშემატკივრის აღშფოთება, სავარაუდოდ, იმ ფაქტმა გამოიწვია, რომ ბრაზილიამ ვენესუელას დამარცხება ვერ შეძლო:

– ნაკრებისთვის ყოველთვის ბოლომდე ვიხარჯები და ასეთ მოპყრობას არ ვიმსახურებ. გულშემატკივარს უნდა ესმოდეს, რომ ყოველთვის ვერ მოიგებ და ფეხბურთელს შეურაცხყოფა არ უნდა მიაყენო. იმედი მაქვს, რომ მომავალში მსგავსი რამ არ მოხდება.

## პედრი: „მოედანზე მალე დავბრუნდები“



ბარსელონას ესპანელმა ნახევარმცველმა პედრიმ, რომელიც ტრავმირებულია, თქვა, რომ მან თითქმის ბოლომდე აღიდგინა კონდიციები და მზად არის მოედანზე დასაბრუნებლად. პედრი აუცილებლად იქნება რეალის წინააღმდეგ 28 ოქტომბერს:

– მინდა, რომ მოედანს მალე დავუბრუნდე, მაგრამ ზედმეტი სიჩქარეც შესაძლოა ცუდი გამოდგეს. ტრავმა უკვე მოვიშუშე და მთელი დატვირთვით ვვარჯიშობ. ბარსელონას ჩემი დახმარება სჭირდება.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## გიორგი კეკელიძე ბერი ანდრიას ფონდის მოხალისე მასწავლებელია



მწერალი და პოეტი გიორგი კეკელიძე ბერი ანდრიას ფონდის მოხალისე მასწავლებელი და ელჩი იქნება:

– ბერი ანდრიას ფონდის ელჩი და მოხალისე მასწავლებელი ვიქნები. ეს საქმე ბარემ 2 წლის წინ უნდა დამეწყო, მაგრამ ჩემი დიდი კოლაფსის გამო, აბა, რას ვიზამდი და აი, დღეს განვაახლეთ ჩვენი მეგობრობა – ბიბლიოთეკას ახალი წიგნები შევმატეთ, მათ შორის, ბენეფიციარების თხოვნით „ხვიჩაც“ და ასევე შემეცნებითი სათამაშოები.

მადლობა დედა თინათინს მეგობრობისთვის. ფონდი სოლიდური თანხით სიმსივნით დაავადებულ ბავშვებს და მოზარდებს ეხმარება. ყოველი თვის ბოლოს, ტრადიციისამებრ, ფონდის წიგნის თაროსაც განვაახლებთ.

## ფილმი „შაშვი, შაშვი მაყვალი“ ევროპული კინოაკადემიის ჯილდოს ნომინანტია




რეჟისორ ელენე ნავერიანის მიერ გადაღებული ფილმი „შაშვი, შაშვი მაყვალი“ ევროპული კინოაკადემიის 2023 წლის ჯილდოს ნომინანტია. მწერალ თამთა მელაშვილის ამავე სახელწოდების რომანის მიხედვით გადაღებული ფილმი გამარჯვების კანდიდატთა გრძელ სიაში მოხვდა.

ფილმში მთავარ როლებს ეკა ჩავლეიშვილი და თემიკო ჭიჭინაძე ასრულებენ. ფილმი არაერთ საერთაშორისო კინოფესტივალსა თუ კონკურსზე დაჯილდოვდა.

ევროპული კინოაკადემიის 2023 წლის დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი 9 დეკემბერს ბერლინში გაიმართება.

## გიორგი პაპკიაური: „სიცოცხლეში დააფასეთ ადამიანი“



ასე მიაჩნია მომღერალსა და მხატვარს გიორგი პაპკიაურს და საქართველოში დამკვიდრებულ ტენდენციას – სიკვდილის შემდეგ დაფასებას – არ ეთანხმება:

– სიცოცხლეში დააფასეთ, სიცოცხლეში გიყვარდეთ, სიცოცხლეში არ გაწიროთ, სიცოცხლეში მოეფერეთ, სიცოცხლეში გენატრებოდეთ, სიცოცხლეში გეამაყებოდეთ, სიცოცხლეში შეეხეთ, განიცადეთ, ჩაიხუტეთ, აღიარეთ და სიცოცხლეში აცხოვრეთ ადამიანი, რომელიც მიწაზე მხოლოდ იმიტომ დაეშვა, რომ „შენ“ შეგეხოს! თორე მოვა დრო და დროც გაქრება ყველა შესაძლებლობასთან ერთად და ის ერთი, შენი ადამიანიც...

პ.ს. მერე სინანულს, დღეს სიყვარული ჯობია. მე ასე ვფიქრობ.

## ნინო დარბაისელი ირაკლი ფარჯიანის ოჯახს ბოდიშს უხდის



პოეტმა ნინო დარბაისელმა მხატვარ ირაკლი ფარჯიანის ოჯახს საჯარო ბოდიში მოუხადა:

– მოგეხსენებათ, მე ვცხოვრობ ამერიკაში. ძალიან განვიცდი, რომ ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე, რომელიც მსოფლიოში უდიდესია, წელს საქართველოს ოფიციალური სტენდი ვერ იქნება წარმოდგენილი, იმის გამო, რომ „მწერალთა სახლის“ ძველ დირექტორს ვადა გაუვიდა, მის ნაცვლად ახალი დაინიშნა, ხოლო ყოფილი დირექტორის მოადგილემ, მისდამი სოლიდარობის ნიშნად, დოკუმენტაცია დაუმალა ახალს, რის გამოც ქართული მხარე დროულად ვერ მოემზადა საფრანკფურტოდ და უარის თქმა მოუხდა მონაწილეობაზე.

სამაგიეროდ, „კეთილი სპონსორების“ წყალობით, თურმე ძველი დირექტორის მხარდამჭერთა მცირე, „ალტერნატიული“ ჯგუფი თვითონ მაინც მიდის.

ჩემი აზრით, ეს სწორედ იმ კლანურობის კიდევ ერთი გამოხატულებაა, რასაც ვუწუნებდი წინა დირექტორს.

მეტიც, ეს ღალატია საკუთარი ეროვნული ლიტერატურისა!

სხვას თუ სურს, ერთგულებაც უწოდოს.

თუმცა ამჟამად ეს არ არის საინტერესო.

საქართველოდან შემატყობინეს, რომ ირაკლი ფარჯიანის ფაქსიმილური გამოცემა იმ მცირე, ქართველ ჯგუფს მიჰქონდა ფრანკფურტში, რაზეც აღვშფოთდი.

შესაბამისად, სადაც კი ხმა და ხელი მიმიწვდა, ყველგან გამოვხატე ეს ჩემი აღშფოთება.

საბედნიეროდ, დანამდვილებით გაირკვა, რომ ფრანკფურტში კი ნამდვილად იქნება წარმოდგენილი წიგნი „ირაკლი ფარჯიანის ფაქსიმილური გამოცემა“, მაგრამ მას შვეიცარული გამომცემლობა წარადგენს, როგორც საკუთარ, გამორჩეულ პროდუქტს და ქართულ მხარესთან ამ მხრივ, მას არავითარი შეხება არა აქვს.

ათასი, არა, მილიონი. არა, მილიარდი ბოდიში მაქვს მოსახდელი ირაკლი ფარჯიანის ცოლ-შვილთან, ასმათთანაც და სოფოსთანაც, რომ მათ წესიერებაში მისხალი ეჭვი შევიტანე. მათი გულმოწყალების იმედი მაქვს, რომ სულგრძელად მაპატიებენ შეცდომას.

## გოგა გველესიანი ტელეკომპანია „ფორმულას“ თანამშრომელი გახდა



მსახიობი გოგა გველესიანი ტელეკომპანია „ფორმულას“ თანამშრომელი გახდა. ის მისთვის საყვარელ რუბრიკას წაიყვანს, რომელიც ოთხფეხა მეგობრებს მიეძღვნება.

რუბრიკა „ფორმულას“ დილის ეთერში ყოველ ხუთშაბათს გავა და იმ მაყურებელს, რომელსაც ოთხფეხა მეგობარი ან მეგობრები ჰყავს საჭირო რჩევას მიაწვდის.

## ალექსანდრე რეხვიაშვილის 85 წლის იუბილე კინოჩვენებით აღინიშნება

ქართველი რეჟისორის ალექსანდრე რეხვიაშვილის 85 წლის იუბილე ქუთაისში მისი ერთ-ერთი ფილმის ჩვენებით აღინიშნება.

ქუთაისის მოკლემეტრაჟიანი ფილმების საერთაშორისო ფესტივალის ფარგლებში 24 ოქტომბერს კინოთეატრ „საქართველოში“ ალექსანდრე რეხვიაშვილის ფილმის „ნუცა“ ჩვენება გაიმართება.

## გიგი ჭიპაშვილის კონცერტის ყველა ბილეთი ელვის სისწრაფით გაიყიდა



პიანისტმა გიგი ჭიპაშვილმა – გიგი პიანომენმა კონსერვატორიის დიდ დარბაზში კონცერტის ჩატარება გადაწყვიტა.

18 ოქტომბერს დანიშნულ კონცერტზე დასასწრები ყველა ბილეთი ელვის სისწრაფით გაიყიდა.

„ქართული ჰანგები“ – ასე ჰქვია კონცერტს, სადაც გიგი ქართველი კომპოზიტორების სიმღერების სოლო საფორტეპიანო ვერსიებს შეასრულებს.

პიანისტმა პირობა დადო, რომ როგორც კი შესაძლებლობა მიეცემა, კონცერტს კვლავ ჩაატარებს, რადგან ბევრმა მსურველმა მის საღამოზე დასასწრები ბილეთის შეძენა ვერ მოასწრო.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. დაუდუღარი ყურძნის წვენი; 2. ხმარებიდან გამოსული ქაღალდის ფული; 3. წიგნის ფურცლების დანომვრა; 4. მთავარი მოედანი მილანში; 5. მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი ამერიკული ქიმიურ-სამრეწველო კონცერნი; 8. თურქეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ქართული წარმოშობის ხალხი; 9. ქალაქი იმერეთში; 12. მთიელ-გუდამაყრელთა მთავარი სალოცავი; 14. ხურდა ფულის, მონეტების დასამზადებლად გამოყენებული დაბალი ხარისხის ვერცხლი; 16. უილიამ შექსპირის ტრაგედია.

**თარაზულად:** 1. ჯუნა მიქატაძის ქანდაკება თბილისში; 6. ქართული ხალხური ცეკვა; 7. სიკო დოლიძის კინოკომედია; 9. კომბინაცია პოკერში; 10. კლდის ნაპრალებში ბინადარი ხვლიკისმაგვარი შხამიანი ქვეწარმავალი; 11. კუთხე საქართველოში; 13. მდინარე რომში; 15. პოპულარული მაგიდის სათამაშო; 17. ბრაზილიის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელი; 18. გერმანიაში მოღვაწე ქართველი კინოსა და თეატრის მსახიობი მამაკაცი; 19. კათოლიკე მღვდელი პოლონეთში; 20. პორტუგალიის ნაკრებისა და „იუვენტუსის“ ფეხბურთელი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

